




სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების

კ ა ტ ა ლ ო გ ი

2023

	ს ა რ ჩ ე ვ ი	
განათლების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი		3
1.	ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	4
2.	საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	16
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა		22
3.	ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	23
ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი		27
4.	ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	29
5.	ასტრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულენოვანი)	40
6.	ასტრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)	50
7.	ინფორმატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	59
8.	აგრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	65

**განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი**

1.	ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა	ქართული	ქართული ფილოლოგიის დოქტორი/ PhD in Georgian Philology კოდი 0232	40 კრე დი ტი	აკრედიტებული - 15/02/2023 წ. №MES 9 23 0000178409	7 წლით	სსიპ სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტე ტი I კორპუსი
2.	საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა	ქართული	ისტორიის დოქტორი/Doc tor of History კოდი - 0222	45- 60 კრე დი ტი.	აკრედიტებული - 03/02/2023 MES 1 23 0000124112	7 წლით	

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

I. ფაკულტეტის დასახელება: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

II. პროგრამის დასახელება: ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა

IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

V. სწავლების ენა: ქართული

VI. მისანიჭებელი აკად. ხარისხი/კვალიფიკაცია: ქართული ფილოლოგიის დოქტორი/PhD in Georgian Philology, კოდი - 0232.1.1

VII. პროგრამის მოცულობა: დოქტორანტურაში სწავლის მინიმალური ხანგრძლივობაა ექვსი სემესტრი (3 წელი).

პროგრამა მოიცავს 40 კრედიტს (1 კრედიტი - 25 სთ).

სასწავლო კომპონენტი:

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის მინიმალური რაოდენობაა 40 კრედიტი, იგი მოიცავს სავალდებულო და არჩევით ნაწილებს. დოქტორანტი საკვლევი თემის თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ასახავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კომპონენტებს.

პროფესორის ასისტენტობა¹ - 15 კრედიტი;

სემინარი² - 10 კრედიტი;

სასწავლო კურსები - 15 კრედიტი (5 სავალდებულო, 10 არჩევითი).

კვლევითი კომპონენტი:

სადოქტორო პროგრამაში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ისეა სტრუქტურირებული, რომ უზრუნველყოფს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის დაგეგმვასა და განხორციელებას. სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს წინ უსწრებს კვლევითი უნარების განმამტკიცებელი კურსები, რომლებიც დოქტორანტს ეხმარება შესაბამისი მიმართულებით კვლევითი ინტერესების ჩამოყალიბებაში.

VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

¹ასისტენტობა ითვალისწინებს დოქტორანტის ჩართვას პროფესორის საქმიანობაში, იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომელიც მას დაეხმარება აკადემიურ სფეროში წარმატებული საქმიანობისათვის. იგი მოიცავს მონაწილეობას ისეთ საქმიანობაში როგორიცაა: სამუშაო ჯგუფი, პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება ან სემინარზე დასწრება/ჩართულობა, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის საკითხების, ტესტების მომზადება, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, სასწავლო რესურსის მომზადება, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების რეცენზირება, საჩვენებელი ლექციის ჩატარება, პროფესორის ასისტირება კვლევაში (მონაცემების შეგროვება, ბიბლიოგრაფიის შედგენა...), პროფესორთან ერთობლივი სამეცნიერო სტატიის მომზადება/გამოქვეყნება; პროფესორთან ერთობლივი სამეცნიერო მოხსენების მომზადება; დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე. პროფესორის ასისტენტობისათვის კრედიტის მინიჭების წინაპირობა არის შესრულებული სამუშაოს დადებითად შეფასება წინასწარ შედგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

²სემინარის ორგანიზებას ახდენს განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი ფაკულტეტის საბჭოს მდივანთან შეთანხმებით. სემინარი არ არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი. სადოქტორო სემინარის მონაწილეები წარმოადგენენ მოხსენებებს შესაბამისი დარგის აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე, რომელსაც მოჰყვება დისკუსია. სამეცნიერო სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები. დოქტორანტი სამეცნიერო მოხსენებას ამზადებს სხვადასხვა დონის კონფერენციისათვის. მოხსენების სტრუქტურის, პრობლემის აქტუალობის, აგების ლოგიკური თანმიმდევრობის შესახებ და ა.შ. კონსულტაციებს იღებს ხელმძღვანელისაგან. სამეცნიერო მოხსენება წარედგინება ამ საკითხების კვლევით დაინტერესებულ პირებს. მიღწეული შედეგი შეფასდება სამეცნიერო ხელმძღვანელისა და კომისიის მიერ.

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხვის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომლის დიპლომი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ და კვალიფიკაცია მიღებული აქვს სწავლის შემდეგ დეტალურ სფეროებში:

0111 განათლების მეცნიერება (0114.1.1 საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის განათლება ქართული ენისა და ლიტერატურის, დაწყებითი განათლების მიმართულებით);

0231 ენის დაუფლება;

0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა;

0239 ენები- არაკლასიფიცირებული (0239.1.1 კავკასიოლოგია);

0288 ინტერდისციპლინური, (0288.1.2 ციფრული ჰუმანიტარია, 0288.1.3 კულტურული მემკვიდრეობის კვლევები)

0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები (0314.1.1 სოციოლოგია, 0314.1.4 კულტურის კვლევები,

0314.1.6 ეთნოლოგია; 0314.2.1 სოციალური და კულტურული კვლევები; 0314.2.2 კონფლიქტოლოგია);

0388 ინტერდისციპლინური (0388.2.3 კავკასიის კვლევები; 0388.2.4 ევრაზიისა და კავკასიის კვლევები).

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს აგრეთვე პირს, რომელსაც აქვს დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების 2.2 პუნქტით განსაზღვრული სწავლის სფეროდან განსხვავებულ სპეციალობაში“. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.

დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატს, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა, მოეთხოვება ქართული ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე. ინგლისური/ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის, ან გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ იმართება სადოქტორო განაცხადის განხილვა და ზეპირი საკონკურსო გამოცდა სპეციალობაში. ფაკულტეტის საბჭო (სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით) განსაზღვრავს საკონკურსო კომისიის შემადგენლობას (იხ. მიღების დოკუმენტი).

IX. პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი **მერაბ ბერიძე**, (საკონტაქტო ინფორმაცია: e-mail :

BeridzeMerab@Sjuni.edu.ge; 599 06 33 66)

X. პროგრამის აკრედიტაცია: 15/02/2023 წ. №MES 9 23 0000178409

XI. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზნები შეესაბამება მისიას:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა უმაღლესი და პროფესიული განათლების თანაარსებობით, **სწავლებისა და კვლევის გზით**, წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში;

უზრუნველყოს **ტრადიციულ და ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებული კვლევები**, შრომის ბაზარზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის აკადემიური ცოდნა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, პროფესიულ განათლებასა და მთელი ცხოვრების მანძილზე;

დაეყრდნოს სამცხე-ჯავახეთის განვითარების პრიორიტეტებს, ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში;

აღზარდოს მაღალხეობრივი, დემოკრატიული და ჰუმანური სულისკვეთებით გამსჭვალული თაობები, **რაც განაპირობებს ენის, კულტურის, ინტელექტის განვითარების უწყვეტობასა და უმაღლესი განათლების ერთიან ევროპულ სივრცესთან შერწყმას.**

სადოქტორო პროგრამის **მიზანია** მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს:

- დისერტაციის სახით შექმნას ახალი მეცნიერული ცოდნა ქართულ ფილოლოგიაში ტრადიციული და ინოვაციური მეთოდოლოგიისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით;
- გახდეს კონკურენტუნარიანი მკვლევარი, რომელსაც შეუძლია ქართული ფილოლოგიის სფეროში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით პრაქტიკული საქმიანობა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევა სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში, სწავლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ინტეგრირება საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში.

სადოქტორო პროგრამამ უნდა განუვითაროს დოქტორანტს ის უნარ-ჩვევები, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს სამეცნიერო კვლევის დროს. მისი კვლევის შედეგები შეიტანს წვლილს ქართული ფილოლოგიის განვითარებაში.

აქედან გამომდინარე, პროგრამის ამოცანებია:

- დოქტორანტს მისცეს ქართულ ფილოლოგიაში მსოფლიოს მასშტაბით შექმნილი მეცნიერული სიახლის შესახებ ცოდნა;
- გაუღრმავოს ცოდნა როგორც ქართული ფილოლოგიის განვითარების, ასევე მისი კვლევის ისტორიის სფეროში;
- განუვითაროს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი;
- განუვითაროს ქართულ ფილოლოგიაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზებისა და წარმართვის უნარ-ჩვევები, სამეცნიერო კვლევის მაღალ დონეზე შესრულების უნარი.
- განუვითაროს ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების კვლევაში გამოყენების უნარ-ჩვევები;
- დოქტორანტს გამოუმუშავოს წარმატებული პედაგოგიური საქმიანობის უნარ-ჩვევები.

XII. სწავლის შედეგი:

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

სწავლის შედეგები	ცოდნა-გაცნობიერება თეორიულ პრინციპებზე დაყრდნობით სისტემურად და კრიტიკულად იაზრებს ფილოლოგიის კონკრეტულ დისციპლინებში: ლიტერატურათმცოდნეობა/ ქართველური ენათმეცნიერება, უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მიდგომების გამოყენების საშუალებას იძლევა. განსაზღვრავს არჩეული ქვედარგის (ლიტერატურათმცოდნეობის, ქართველური ენათმეცნიერების) ადგილს თანამედროვე მეცნიერებათა (ჰუმანიტარულ, სოციოლოგიურ) და ინტერდისციპლინურ კვლევებს შორის. უნარი კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, გეგმავს და ახორციელებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად) ისეთი სამეცნიერო კვლევას, რომლის შედეგებსაც აქვს პრაქტიკული (გამოყენებითი) დანიშნულება. არგუმენტირებულად ასაბუთებს ინტერდისციპლინური კვლევის გაძლიერების საჭიროებასა და თანამშრომლობის აუცილებლობას ქართული ფილოლოგიის მომიჯნავე დარგების წარმომადგენლებთან. დასაბუთებულად, გარკვევით წარმოაჩენს და გადასცემს არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალ ცოდნას როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოების წინაშე. მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ სამეცნიერო, თემატურ დისკუსიებში, ამჟღავნებს საწინააღმდეგო აზრის მოსმენისა და სამეცნიერო კამათის უნარებს. წარმოაჩენს საკუთარ პოზიციას და არგუმენტირებულად იცავს მას. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ქმნის ახალ ცოდნაზე ორიენტირებულ სამეცნიერო ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომსა და
--------------------------------	--

	პუბლიკაციებს (საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე ქართული ფილოლოგიის მის მიერ არჩეულ ქვედარგში). ამუშავებს მონაცემებს, რომელსაც მიიღებს ორიგინალური კვლევების ან დარგობრივი წყაროებიდან; ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზისა თუ სინთეზის საფუძველზე იღებს სწორ, სტრატეგიულ და ეფექტურ გადაწყვეტილებას. იყენებს სილაბუსების შედგენის პრინციპებს. ქმნის კონკრეტული დისციპლინების სასწავლო-მეთოდურ მასალებს, სილაბუსებს, სალექციო კურსებს და წარმატებულად წარმართავს სასწავლო პროცესს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სუბსიმგებლობა და ავტონომიურობა მიღებული ცოდნის საფუძველზე აგრძელებს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას სამეცნიერო დაწესებულებებში, უნივერსიტეტებში, ასევე ჯგუფურად მუშაობს სამეცნიერო კვლევებზე ამა თუ იმ პროექტის ფარგლებში აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ასევე ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით.
--	--

სწავლის შედეგების შეფასება

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან და პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს ჰუმანიტარიის მიმართულების და კერძოდ, ქართული ფილოლოგიის დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასება. პირდაპირი შეფასებისას გამოყენებულია: სასწავლო კურსების საგამოცდო შეფასება, მათ შორის, საკურსო შრომა, კვლევითი კომპონენტის, სადიერტაციო ნაშრომის შეფასება, კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ. არაპირდაპირი შეფასებისას: პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება, დამსაქმებელთა გამოკითხვა, აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვა, სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება და სხვ.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამის ხელმძღვანელი შექმნის მონიტორინგის ჯგუფს ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად და მათი ჩართულობით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულების შედარება, რასაც მოჰყვება ანალიზის პროცესი და შესაბამისი რეაგირება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განსავითარებლად, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას.

პირდაპირი შეფასების მეთოდით პროგრამის სწავლის შედეგის შეფასებისას საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შეფასებისათვის გამოყენებულ სასწავლო და კვლევით კომპონენტში/ებში (სასწავლო კურსი/ები, სადიერტაციო ნაშრომი) მიღებული პროცენტული მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს. პროგრამის სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის მიმდინარე ეტაპზე განისაზღვრება 85-90%-ით. პირდაპირი შეფასების მეთოდით სწავლის შედეგის შეფასებისას შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ შეფასება სამიზნე ნიშნულზე დაბალი იქნება.

სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს: სტუდენტის მიერ თვითშეფასებას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას, პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვებას, სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასებას და სხვ. შედეგების ანალიზს.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული შეფასება არ არის სტუდენტის მიერ კურსის შეფასება ან კმაყოფილების კვლევის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, მომზადებულია კითხვარი,

რომელშიც ჩამოთვლილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტები აღნიშნავენ თავიანთ მოსაზრებას, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს. იმავე კითხვარის გაგზავნა შეიძლება კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასავითარებლად, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას.

ინდიკატორები/მტკიცებულებები: სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში, განხილვის დამადასტურებელი დოკუმენტები (ოქმები), გამოკითხვები.

სწავლის შედეგები	სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები				სამიზნე ნიშნულები
	პირდაპირი		არაპირდაპირი		
	მეთოდი	დრო	მეთოდი	დრო	
1. თეორიულ პრინციპებზე დაყრდნობით სისტემურად და კრიტიკულად იაზრებს ფილოლოგიის კონკრეტულ დისციპლინებში: ლიტერატურათმცოდნეობა/ ქართველური ენათმეცნიერება, უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მიდგომების გამოყენების საშუალებას იძლევა. განსაზღვრავს არჩეული ქვედარგის (ლიტერატურათმცოდნეობის, ქართველური ენათმეცნიერების) ადგილს თანამედროვე მეცნიერებათა (ჰუმანიტარულ, სოციოლოგიურ...) და ინტერდისციპლინურ კვლევებს შორის.	ცოდნა და გაცნობიერება, ანუ თეორიული ცოდნა შემოწმდება პირველი სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო და კვლევითი კომპონენტის საბოლოო შედეგებით: კონფერენცია; სემინარი; სადისერტაციო ნაშრომი.	ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, სწავლების პერიოდში და სადოქტორო ნააშრომის შესრულებით და დაცვით.	თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: 1. სტუდენტთა გამოკითხვა; 2. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; 3. დამსაქმებელთა გამოკითხვა; 4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; 5. თემის ხელმძღვანელის შეფასება; 6. რეცენზენტის შეფასება	1. სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 2. პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდგომ; 3. დასაქმებიდან ერთი წლის შემდეგ	სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 85% დადებითი შეფასება
2. კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, გეგმავს და ახორციელებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად) ისეთი სამეცნიერო კვლევას, რომლის შედეგებსაც აქვს პრაქტიკული (გამოყენებითი) დანიშნულება. არგუმენტირებულად ასაბუთებს ინტერდისციპლინური კვლევის გაძლიერების საჭიროებასა და თანამშრომლობის აუცილებლობას ქართული	უნარები შემოწმდება მეორე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო და კვლევითი კომპონენტის საბოლოო შედეგებით:	ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, სწავლების პერიოდში და სადოქტორო ნააშრომის შესრულებით და დაცვით	თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: 1. სტუდენტთა გამოკითხვა; 2. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; 3. დამსაქმებელთა გამოკითხვა;	1. სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 3. პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდგომ;	სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 85% დადებითი შეფასება

ფილოლოგიის მომიჯნავე დარგების წარმომადგენლებთან.	1. ლინგვისტური ანალიზი და კვლევის მეთოდები; 2. დიგიტალური ქართველოლოგია და 21-ე საუკუნის გამოწვევები; 3. ინტერდისციპლინური კვლევა და ონომასტიკის პრობლემატიკა; 4. ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები; 5. ქართული კლასიკური ლიტერატურა და ბიბლია; 6. სემინარი; 7. სადისერტაციო ნაშრომი		4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; 5. თემის ხელმძღვანელის შეფასება; 6. რეცენზენტის შეფასება	4. დასაქმებიდან ერთი წლის შემდეგ	
3. დასაბუთებულად, გარკვევით წარმოაჩენს და გადასცემს არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალ ცოდნას როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოების წინაშე. მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ სამეცნიერო, თემატურ დისკუსიებში, ამჟღავნებს საწინააღმდეგო აზრის მოსმენისა და სამეცნიერო კამათის უნარებს. წარმოაჩენს საკუთარ პოზიციას და არგუმენტირებულად იცავს მას.	უნარები შემოწმდება მესამე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო და კვლევითი კომპონენტის საბოლოო შედეგებით: 1. ლინგვისტური ანალიზი და კვლევის მეთოდები; 2. დიგიტალური ქართველოლოგია და 21-ე საუკუნის გამოწვევები; 3. ინტერდისციპლინური კვლევა და ონომასტიკის პრობლემატიკა; 4. პოლიტიკური დოკუმენტების	ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, სწავლების პერიოდში და სადოქტორო ნაშრომის შესრულებით და დაცვით	თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: 1. სტუდენტთა გამოკითხვა; 2. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; 3. დამსაქმებელთა გამოკითხვა; 4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; 5. თემის ხელმძღვანელის შეფასება; 6. რეცენზენტის შეფასება	1. სწავლების პერიოდში, 2. პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 3. პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდგომ; 4. დასაქმებიდან ერთი წლის შემდეგ	სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 85% დადებითი შეფასება

	ლინგვისტური ანალიზი; 5. მედიტერანული კონტაქტები დიაქრონულ ჭრილში და თანამედროვე ლინგვისტური პრობლემატიკა; 6. ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები; 7. თანამედროვე ლიტერატურული პროცესები; 8. XX-XXI საუკუნეების კრიტიკული აზროვნების აქტუალური პრობლემები; 9. ქართული ლიტერატურული სახისმეტყველების აქტუალური საკითხები 10. სემინარი; 11. კონფერენცია; 12. სადისერტაციო ნაშრომი				
4. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ქმნის ახალ ცოდნაზე ორიენტირებულ სამეცნიერო ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომსა და პუბლიკაციებს (საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე ქართული ფილოლოგიის მის მიერ არჩეულ ქვედარგში). ამუშავებს მონაცემებს, რომელსაც მიიღებს ორიგინალური კვლევების ან დარგობრივი წყაროებიდან; ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზისა თუ სინთეზის საფუძველზე იღებს სწორ,	უნარები შემოწმდება მეოთხე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო და კვლევითი კომპონენტის საბოლოო შედეგებით: 1. სამეცნიერო წერის მეთოდები; 2. ლინგვისტური ანალიზი და კვლევის მეთოდები;	ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, სწავლების პერიოდში და სადოქტორო ნაშრომის შესრულებით და დაცვით	თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: 1. სტუდენტთა გამოკითხვა; 2. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; 3. დამსაქმებელთა გამოკითხვა; 4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; 5. თემის ხელმძღვანელის შეფასება;	1. სწავლების პერიოდში, 2. პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 3. პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდგომ; 4. დასაქმებიდან ერთი წლის შემდეგ	სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 85% დადებითი შეფასება

სტრატეგიულ და ეფექტურ გადაწყვეტილებას.	3. დიგიტალური ქართველოლოგია და 21-ე საუკუნის გამოწვევები; 4. ინტერდისციპლინური კვლევა და ონომასტიკის პრობლემატიკა; 5. ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები; 6. თანამედროვე ლიტერატურული პროცესები; 7. XX-XXI საუკუნეების კრიტიკული აზროვნების აქტუალური პრობლემები; 8. ქართული ლიტერატურული სახისმეტყველების აქტუალური საკითხები 9. სემინარი; 10. კონფერენცია; 11. სადისერტაციო ნაშრომი		6. რეცენზენტის შეფასება		
5. იყენებს სილაბუსების შედგენის პრინციპებს. ქმნის კონკრეტული დისციპლინების სასწავლო-მეთოდურ მასალებს, სილაბუსებს, სალექციო კურსებს და წარმატებულად წარმართავს სასწავლო პროცესს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.	უნარები შემოწმდება მეოთხე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კომპონენტის საბოლოო შედეგებით: 1. სწავლების თანამედროვე მეთოდები; 2. პროფესორის ასისტენტობა	ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, სწავლების პერიოდში.	თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: 1. სტუდენტთა გამოკითხვა; 2. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; 3. დამსაქმებელთა გამოკითხვა; 4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; 5. თემის ხელმძღვანელის შეფასება;	1. სწავლების პერიოდში, 2. პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 3. პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდგომ; 4. დასაქმებიდან ერთი წლის შემდეგ	სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 90% დადებითი შეფასება

6. მიღებული ცოდნის საფუძველზე აგრძელებს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას სამეცნიერო დაწესებულებებში, უნივერსიტეტებში, ასევე ჯგუფურად მუშაობს სამეცნიერო კვლევებზე ამა თუ იმ პროექტის ფარგლებში აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ასევე ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა შემოწმდება მეექვსე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო და კვლევითი კომპონენტის საბოლოო შედეგებით: 1. ლინგვისტური ანალიზი და კვლევის მეთოდები; 2. დიგიტალური ქართველოლოგია და 21-ე საუკუნის გამოწვევები; 3. ინტერდისციპლინური კვლევა და ონომასტიკის პრობლემატიკა; 4. ენათა კონტაქტების შესწავლის თანამედროვე ტენდენციები; 5. პოლიტიკური დოკუმენტების ლინგვისტური ანალიზი; 6. ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები; 7. თანამედროვე ლიტერატურული პროცესები; 8. XX-XXI საუკუნეების კრიტიკული აზროვნების აქტუალური პრობლემები;	ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, სწავლების პერიოდში და სადოქტორო ნაშრომის შესრულებით და დაცვით	თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: 1. სტუდენტთა გამოკითხვა; 2. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; 3. დამსაქმებელთა გამოკითხვა; 4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; 5. თემის ხელმძღვანელის შეფასება; 6. რეცენზენტის შეფასება.	1. სწავლების პერიოდში, 2. პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 3. პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდგომ; 4. დასაქმებიდან ერთი წლის შემდეგ	სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 85% დადებითი შეფასება
--	---	--	--	--	--

	9. ქართული კლასიკური ლიტერატურა და ბიბლია; 10. ქართული ლიტერატურული სახისმეტყველების აქტუალური საკითხები 11. პროფესორის ასისტენტობა; 12. კონფერენცია; 13. სადისერტაციო ნაშრომი				
--	---	--	--	--	--

XVII. დასაქმების სფეროები:

უმაღლესი სასწავლებლები, კოლეჯები, საჯარო და კერძო სკოლები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები, კომპანიები, ფონდები, ბიბლიოთეკები, არქივები, მუზეუმები, გამომცემლობები, მასმედია, ტურისტული კომპანიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ.

დოქტორს შეუძლია დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა თავისი სპეციალობის მიხედვით, რომელიც დადგენილია ამ დაწესებულებათა სამტატო ნომენკლატურით.

სტუდენტის შეფასება

სტუდენტთა შეფასება მრავალკომპონენტანია და უზრუნველყოფს თითოეული კომპონენტის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით.

სასწავლო კურსების შემთხვევაში დოქტორანტის ცოდნის შეფასება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3) და უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. კურსი ათვისებულად ითვლება, თუ დოქტორანტის საბოლოო შეფასება მეტია 50- ზე.

შეფასების სისტემა უშვებს:

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების (გარდა კონცენტრაციისა და მოდულისა) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.

ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვ.) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.

ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

2. საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც ჯამურად არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

3. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციით განსაზღვრული დადებითი შეფასების ვერმიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:

შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);

დასკვნითი შეფასება.

5. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

6. საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.

7. შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად ან შერეული სახით.

8. თუ სტუდენტი ძირითად სასწავლო ვადაში ვერ ასწრებს აკადემიური დავალიანების დაფარვას, დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები (მაქსიმუმ ოთხი).

შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად ან ელექტრონულად.

სემინარი ფასდება ასქულიანი სისტემით: სამეცნიერო ხელმძღვანელისა და კომისიის მიერ. ხელმძღვანელი აფასებს 70 ქულით, კომისია -30-ით. ხელმძღვანელის შეფასება დადებითად ითვლება, თუ თემა შეფასდება 36 და მეტი ქულით. სემინარის პრეზენტაცია ფასდება 30 ქულის ფარგლებში წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით. პრეზენტაციაში დადებით შეფასებად ითვლება 16 და მეტი ქულა. მთლიანობაში დადებით შეფასებად ითვლება 51 და მეტი ქულა. **(იხ. დოქტორანტის სემინარის ინსტრუქცია).**

დისერტაციის შეფასება

დისერტაციის შეფასებისათვის დარგობრივი კოლეგიის თითოეული წევრი იყენებს შემდეგ სქემას:

ა) ფრიადი (summa cum laude) შესანიშნავი ნაშრომი

ბ) მაღიან კარგი (magna cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზებისმიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ)არადამაკმაყოფილებელი(insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ)სრულიად არადამაკმაყოფილებელი(sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს

დისერტაცია დაცულად ითვლება ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

ქართული ფილოლოგიის დოქტორი აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი დისერტაცია უნდა შეფასდეს მთლიანობაში, ერთიანად დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას. დისერტაცია უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

პროფესორის ასისტენტობა ფასდება 100-ქულიანი სისტემით:

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კრიტერიუმების განმარტება:

ფრიადი - დოქტორანტმა ზედმიწევნით კარგად და სრულად შეასრულა დავალება.

ძალიან კარგი - დოქტორანტმა სრულად და ძალიან კარგად შეასრულა დავალება, არ დაუშვია არსებითი შეცდომები.

კარგი - დოქტორანტმა სრულად შეასრულა დავალება. მაგრამ დაუშვა არაარსებითი ხასიათის რამდენიმე შეცდომა.

დამაკმაყოფილებელი - დოქტორანტმა დავალება დამაკმაყოფილებლად, მაგრამ ხარვეზებით შეასრულა.

საკმარისი: დოქტორანტმა დავალება ნაწილობრივ შეასრულა. დაუშვა რამდენიმე არსებითი ხასიათის შეცდომა.

ვერ ჩააბარა - დოქტორანტმა დავალება არასრულად შეასრულა. მისი მიდგომა მცდარია; ვერ გამოამჟღავნა დასახული ამოცანის განსახორციელებლად საჭირო უნარები. დაუშვა რამდენიმე არსებითი შეცდომა.

ჩაიჭრა - დოქტორანტმა შეასრულა სამუშაოს მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები და/ან არაადეკვატურად შეასრულა სამუშაო და/ან არ შეასრულა დასმული ამოცანა.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა
PhD program of Georgian history

- I. ფაკულტეტის დასახელება: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა
- II. პროგრამის დასახელება: საქართველოს ისტორია/History of Georgia
- III. კვალიფიკაციის დონე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში: დონე 8 (დოქტორანტურა)
- IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური
- V. სწავლების ენა: ქართული
- VI. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ისტორიის დოქტორი/Doctor of History
- VII. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: დოქტორანტურაში სწავლის მინიმალური ხანგრძლივობა 3 წელია (ექვსი სემესტრი).

პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან.

სასწავლო კომპონენტი: 45-60 კრედიტი.

საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის დანიშნულებაა დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური ცოდნის დონის ამაღლება და დახელოვნება, რაც ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევით ნაწილებისგან და მოიცავს მინიმუმ 45 და მაქსიმუმ 60 კრედიტს. დოქტორანტი საკვლევი თემის თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ასახავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კომპონენტებს.

35 კრედიტი - პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტებია:

პროფესორის ასისტენტობა³ - 10 კრედიტი;

სასწავლო კურსები:

„ისტორიის კვლევის თანამედროვე მეთოდები და მეცნიერების მენეჯმენტი“ - 5 კრედიტი;

„სწავლა-სწავლების თეორიები უმაღლეს განათლებაში“ - 5 კრედიტი;

„ისტორიოგრაფიის ისტორია“ 5 კრედიტი“.

³ასისტენტობა ითვალისწინებს დოქტორანტის ჩართვას პროფესორის საქმიანობაში, იმ უნარ-ჩვევების გამოუმუშავებას, რომელიც მას დაეხმარება აკადემიურ სფეროში წარმატებული საქმიანობისათვის. იგი მოიცავს მონაწილეობას ისეთ საქმიანობაში როგორიცაა: სამუშაო ჯგუფი, პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება ან სემინარზე დასწრება/ჩართულობა, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის საკითხების, ტესტების მომზადება, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, სასწავლო რესურსის მომზადება, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების რევენზირება, საჩვენებელი ლექციის ჩატარება, პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე. პროფესორის ასისტენტობისათვის კრედიტის მინიჭების წინაპირობა არის შესრულებული სამუშაოს დადებითად შეფასება წინასწარ შედგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

²სემინარის ორგანიზებას ახდენს განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი ფაკულტეტის საბჭოს მდივანთან შეთანხმებით. სემინარი არ არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი. სადოქტორო სემინარის მონაწილეები წარმოადგენენ მოხსენებებს შესაბამისი დარგის აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე, რომელსაც მოჰყვება დისკუსია. სამეცნიერო სემინარის მუშაოში მონაწილეობენ სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები. დოქტორანტი სამეცნიერო მოხსენებას ამზადებს სხვადასხვა დონის კონფერენციისათვის. მოხსენების სტრუქტურის, პრობლემის აქტუალობის, აგების ლოგიკური თანმიმდევრობის შესახებ და ა.შ. კონსულტაციებს იღებს ხელმძღვანელისაგან. სამეცნიერო მოხსენება წარედგინება ამ საკითხების კვლევით დაინტერესებულ პირებს. მიღწეული შედეგი შეფასდება სამეცნიერო ხელმძღვანელისა და კომისიის მიერ.

10-25 კრედიტი - პროგრამის არჩევითი სასწავლო კომპონენტებია:

- სასწავლო კურსები პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არჩევითი ბლოკიდან;
- სასწავლო კურსები უნივერსიტეტის სხვა სადოქტორო პროგრამებიდან;
- სასწავლო კურსები გაცვლითი პროგრამის ფარგლებში საქართველოს ან უცხოეთის უსდ-ების სადოქტორო პროგრამებიდან;
- სემინარი - 10 კრედიტის ფარგლებში;
- სხვა უსდ-დან სჯსუ-ში მოხილვის შემთხვევაში დოქტორანტს არჩევით სასწავლო კომპონენტებში შესაძლოა უღიარდეს მის მიერ სხვა უსდ-ში გავლილი სასწავლო კომპონენტები.

კვლევითი კომპონენტი:

- სადოქტორო დისერტაციის მომზადება და დაცვა. დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომს ასრულებს ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად. სამეცნიერო ხელმძღვანელთან განხილვისა და შეთანხმების შემდეგ, ყოველი სემესტრის ბოლოს (დაწყებული მეორე სემესტრიდან) აკეთებს ანგარიშს ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ნაშრომი დასრულებულად ითვლება, თუ კვლევის მიზანი მიღწეულია, ასახულია კვლევის დასაბუთებული შედეგები. ნაშრომი უნდა გამოირჩეოდეს მეცნიერული სიახლით და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისა და შესაბამისად მისი წარმოდგენის ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს (დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები (მაქსიმუმ ოთხი).
- სადოქტორო დისერტაციიდან სამი სამეცნიერო სტატიის მომზადება და გამოქვეყნება. აქედან ერთი სტატია სავალდებულოა გამოქვეყნდეს სამეცნიერო ბიბლიომეტრიკის მქონე საერთაშორისო ბაზებში (SCOPUS, WoS, ERIHplus) ინდექსირებულ ჟურნალში ან დოქტორანტი თანაავტორია ამავე ბაზებში ინდექსირებული ერთობლივი მონოგრაფიისა (მონოგრაფიაში უნდა ჩანდეს დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაო, რომელიც შესაბამისობაშია სადოქტორო დისერტაციის თემატიკასთან).

სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს წინ უსწრებს კვლევითი უნარების განმამტკიცებელი თეორიული და პრაქტიკული კურსები, რომლებიც დოქტორანტს ეხმარება შესაბამისი მიმართულებით კვლევითი ინტერესების ჩამოყალიბებაში.

დოქტორანტურის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, რომელსაც დოქტორანტი ასრულებს დისერტაციის დასრულებამდე, მოიცავს შემდეგ თანმიმდევრულ ეტაპებს:

1. კვლევის ნაწილი I: კვლევის პროექტი, კვლევის გეგმა, ბიბლიოგრაფიული მონახაზი და მასზე მუშაობა;
2. კვლევის ნაწილი II: ბიბლიოგრაფიულ ძირითად მონაცემებზე მუშაობის დასრულება და კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
3. კვლევის ნაწილი III: გამოსაკვლევი მასალის შერეოვნება და კვლევების განხორციელება;
4. კვლევის ნაწილი IV: გამოსაკვლევი მასალების შერეოვნების დასრულება, კვლევების განხორციელება და დისერტაციის პირველი (ლიტერატურის მიმოხილვა) და მეორე თავის (კვლევის მასალა და მეთოდების) დასრულება-წარდგენა სამეცნიერო ხელმძღვანელთან;
5. კვლევის ნაწილი V: კვლევების განხორციელების დასრულება და მონაცემთა ანალიზი. სადისერტაციო ნაშრომის ძირითად ნაწილზე (საკუთარი გამოკვლევები) მუშაობა. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე სტატიების მომზადება და გამოქვეყნება;
6. კვლევის ნაწილი VI: სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო ვერსიის მომზადება, საჯარო დაცვა.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესრულების ეტაპების განმარტება:

კვლევის ნაწილი I - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელს წარუდგენს კვლევის გეგმას (ზეპირი პრეზენტაციის სახით) და პროსპექტუსს (დაწერილი ნაშრომის სახით). კვლევითი კომპონენტის I ნაწილი შესრულებულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტის ნამუშევარს სამეცნიერო ხელმძღვანელისაგან დადებითი შეფასება ექნება;

კვლევის ნაწილი II - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელს აბარებს ბიბლიოგრაფიულ ნაშრომს და მეთოდოლოგიურ მონახაზს (წერილობითი ნაშრომის სახით);

კვლევის ნაწილი III - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელს წარუდგენს საკვლევ მასალაზე მიმოხილვას პრეზენტაციის სახით და სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურას ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციის სახით;

კვლევის ნაწილი IV - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელს ზეპირი პრეზენტაციის სახით წარუდგენს ანგარიშს ჩატარებული სამუშაოს შესახებ, ასევე წერილობითი სახით ინფორმაციას დისერტაციის პირველი და მეორე თავის შესრულების შესახებ;

კვლევის ნაწილი V - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელს ზეპირი პრეზენტაციის სახით წარუდგენს ანგარიშს ჩატარებული კვლევითი სამუშაოს შესახებ, ასევე სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე მომზადებულ სამეცნიერო ნაშრომს;

კვლევის ნაწილი VI - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელს წარუდგენს გაფორმებულ სადისერტაციო ნაშრომს, დოქტორანტმა უნდა დაიცვას სადისერტაციო ნაშრომი საქართველოს ისტორიის მიმართულებით დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მიხედვით გაწერილი წესით (მუხლი 13 და 14).

აკრედიტებული 03/02/2023 MES 1 23 0000124112

სწავლის შედეგების შეფასება

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი/ები ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან და პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასება.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამის ხელმძღვანელი ქმნის მონიტორინგის ჯგუფს ფაკულტეტის ხარისხთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად. მათ მიერ ხდება სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულებთან შედარება.

სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი გულისხმობს: გარკვეულ, კონკრეტულ/განმამტკიცებელ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსების ერთიან შეფასებას, გარკვეული პერიოდულობით, სწავლის შედეგების შეფასების რუქის შესაბამისად.

სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მასალებია: სტუდენტთა ნაშრომები, სადისერტაციო ნაშრომები, პრეზენტაციები, ესე, პორტფოლიო, ტესტი და ა.შ. დამატებითი გამოცდა, რომელსაც კრედიტი არ ენიჭება და ფასდება დადებითი ან უარყოფითი შეფასებით.

აღნიშნული შეფასებისას გამოვლინდება სამიზნე ნიშნულები, რომლის მიხედვითაც ხდება ანალიზის გაკეთება, თუ სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან, რამდენმა პროცენტმა შეძლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებზე გასვლა.

სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს: პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვებას, სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასებას; დამსაქმებელთა, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, შეიძლება მომზადდეს კითხვარი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტები აღნიშნავენ თავიანთ მოსაზრებას, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს. იმავე კითხვარის გაგზავნა შეიძლება კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განსავითარებლად, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას.

ინდიკატორები/მტკიცებულებები: სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში, განხილვის დამადასტურებელი დოკუმენტები (ოქმები), გამოკითხვები.

სწავლის შედეგები	სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები				სამიზნე ნიშნულებ ი
	პირდაპირი		არაპირდაპირი		
	მეთოდი	დრო	მეთოდი	დრო	
1. აღწერს თანამედროვე ისტორიული მეცნიერების უახლეს მიღწევებსა და კომპლექსურ პრობლემებს, მათ შორის, ისტორიის კვლევის მიზნებს, ამოცანებს, ძირითად ეტაპებს, ძირითად ხერხებს, მოდელებს, ისტორიული კვლევის თანამედროვე ტენდენციებს, სწავლების ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს;	სწავლება-სწავლის თეორიები უმაღლეს განათლებაში; ისტორიის კვლევის თანამედროვე მეთოდები და მეცნიერების მენეჯმენტი; ისტორიოგრაფიის ისტორია.	სასწავლო კომპონენტის დასრულები ს შემდეგ;	პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება; სტუდენტის გამოკითხვა; კურსდამთავრებულის გამოკითხვა.	სწავლის პერიოდში; სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ;	70%
2. შეიმუშავებს საქართველოს ისტორიის სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევით ან ანალიტიკურ მეთოდებს ან/და მიდგომებს;	ისტორიის კვლევის თანამედროვე მეთოდები და მეცნიერების მენეჯმენტი; სადისერტაციო ნაშრომი	სასწავლო კომპონენტის დასრულები ს შემდეგ; დისერტაციის დაცვის დროს.	პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება; სტუდენტის გამოკითხვა; კურსდამთავრებულის გამოკითხვა.	სწავლის პერიოდში; დისერტაციის დაცვის შემდეგ.	70%
3. კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს საქართველოს ისტორიის სფეროს ახალ, რთულ და წინააღმდეგობრივ იდეებსა და მიდგომებს;	ისტორიოგრაფიის ისტორია; სადოქტორო სემინარი; კონფერენცია; სადისერტაციო ნაშრომი	სასწავლო კომპონენტის დასრულები ს შემდეგ; დისერტაციის დაცვის დროს;	პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება; სტუდენტის გამოკითხვა. კურსდამთავრებულის გამოკითხვა.	სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ; დისერტაციის დაცვის შემდეგ.	70%
4. დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს საქართველოს ისტორიის	სადოქტორო სემინარი;	სასწავლო კომპონენტის	პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება;	სწავლის პერიოდში;	70%

სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად;	სადისერტაციო ნაშრომი	დასრულები ს შემდეგ; დისერტაციი ს წინასწარი განხილვა; დისერტაციი ს დაცვის დროს;	სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება; სტუდენტის გამოკითხვა. კურსდამთავრებ ულის გამოკითხვა	დისერტაციის დაცვის შემდეგ.	
5. მსჯელობს კოლეგებთან და ფართო საზოგადოებასთან საქართველოს ისტორიის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და ამ სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ, დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩენს და გადმოსცემს არსებული ცოდნის ურთიერთკავშირს ახალ ცოდნასთან, მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში;	სადოქტორო სემინარი; კონფერენცია; სადისერტაციო ნაშრომი.	სასწავლო კომპონენტის დასრულები ს შემდეგ; დისერტაციი ს დაცვის დროს;	პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება; სტუდენტის გამოკითხვა; კურსდამთავრებ ულის გამოკითხვა	სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ; დისერტაციის დაცვის შემდეგ.	70%
6. მონაწილეობს საუნივერსიტეტო განათლებაში სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით: ქმნის კონკრეტული დისციპლინების სასწავლო-მეთოდურ მასალებს, სილაბუსებს, სალექციო კურსებს და ლექციების წარმართავს წარმატებულად;	სწავლება- სწავლის თეორიები უმაღლეს განათლებაში; სადოქტორო სემინარი; პროფესორის ასისტენტობა; სადისერტაციო ნაშრომი	სასწავლო კომპონენტის დასრულები ს შემდეგ; დისერტაციი ს დაცვის დროს;	პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება; სტუდენტის გამოკითხვა. კურსდამთავრებ ულის გამოკითხვა	სწავლის პერიოდში; სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ; დისერტაციის დაცვის შემდეგ.	70%
7. ისტორიის სფეროში ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით გეგმავს და ახორციელებს	ისტორიის კვლევის თანამედროვე მეთოდები და	სასწავლო კომპონენტის დასრულები ს შემდეგ;	პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება;	სწავლის პერიოდში; სასწავლო კომპონენტის	70%

სამეცნიერო-კვლევით პროცესს და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ამზადებს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ სამეცნიერო ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომს და პუბლიკაციებს (საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე).	მეცნიერების მენეჯმენტი; ისტორიოგრაფიის ისტორია; სამეცნიერო პუბლიკაციები; სადისერტაციო ნაშრომი	სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების შემდეგ; დისერტაციის დაცვის დროს;	სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება; სტუდენტის გამოკითხვა. კურსდამთავრებულის გამოკითხვა	დასრულების შემდეგ; დისერტაციის დაცვის შემდეგ.	
---	---	---	---	---	--

**ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**

#	პროგრამის დასახელება	სწავლები ს ენა	მისანიჭებელ ი კვალიფიკაცი ა (კვალიფიკაც იის კოდით)	ECT S	პროგრამის სტატუსი შესაბამისი გადაწყვეტილებ ის თარიღი და ნომერი ⁴	პროგრამის მოქმედების ვადა	პროგრამის განხორციელე ბის ადგილი
	ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა	ქართული	ეკონომიკის დოქტორი კოდი 0311	180	აკრედიტებული - 19.12 2019 წ. №244 ავტორიზებული - 20.02.2020 წ. №02	31/12/2028	სსიპ სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ი II კორპუსი

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა

1. ფაკულტეტის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
2. სადოქტორო პროგრამის დასახელება: ეკონომიკა / Economics (0311)
3. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ეკონომიკის დოქტორი / PhD in Economics
4. სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა: ექვსი სემესტრი
5. სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი: ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი გოჩა თუთბერიძე
6. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი:

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი გოჩა თუთბერიძე,

7. სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელი

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნანა ჯღარკავა;

8. სწავლების ენა: ქართული

სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ✓ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ✓ მინიმუმ B2 დონის ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი ან ინგლისური ენის მისაღები გამოცდის მინიმუმ B2 დონეზე ჩაბარება ან B2 დონის შესაბამისი რომელიმე საერთაშორისო სერთიფიკატი;
- ✓ სამოტივაციო წერილი კვლევითი ინტერესის შესახებ;
- ✓ საკონკურსო გამოცდა სპეციალობაში. ფაკულტეტის საბჭო სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით განსაზღვრავს საკონკურსო კომისიის შემადგენლობას და გამოცდის ჩატარების ფორმატს (გამოცდა შეიძლება ჩატარდეს წერილობით, ზეპირად, ელექტრონული პროგრამით ან შერეული სახით);
- ✓ ორი სარეკომენდაციო წერილი დოქტორანტურაში მიმღები კომისიის სახელზე;

*დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატს, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა, მოეთხოვება ქართული ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე და წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან აბარებს გამოცდას ქართულ ენაში. ამასთან, კონკრეტული პირობები და პროგრამის გავლის წესები განსაზღვრულია დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნათა შესაბამისად.

9. სადოქტორო პროგრამის მიზანია:

1. მოამზადოს მკვლევარი, რომელსაც ექნება თეორიული და ანალიტიკური უნარ-ჩვევები და შეეძლება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, დაგეგმოს და ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევა ეკონომიკის სფეროში;
2. მისცეს სტუდენტებს კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და მეთოდოლოგიის ღრმა ცოდნა პრობლემათა გადაწყვეტის უნარის გამომუშავება და პრაქტიკული კვლევების განხორციელების მეთოდების დაუფლება;
3. გააცნოს დოქტორანტი კვლევის ეთიკურ ნორმებს და განუვითაროს მას ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში არგუმენტირებულად და ნათლად წარმოჩენის უნარი.

10. სწავლის შედეგები

1. ხსნის, აღწერს და აანალიზებს ძირითად ეკონომიკურ მოდელებს;
2. აანალიზებს ქვეყნების, რეგიონების, ორგანიზაციების, დარგების, ფირმების ეკონომიკებსა და ინსტიტუციონალურ მექანიზმებს;
3. ახდენს სტატისტიკური მონაცემების რეგრესიული მოდელების გენერირებას და ინტერპრეტირებას;
4. განსაზღვრავს მონაცემთა წყაროებს, აღწერს შესაბამისი ემპირიულ ინსტრუმენტებს და ახორციელებს მონაცემთა გამოკვლევას, რომელსაც ის მიიღებს ორიგინალური კვლევების ან ოფიციალური და დარგობრივი წყაროებიდან;

5. აფასებს ეკონომიკურ გამოწვევების და სახელმწიფო პოლიტიკას, ეკონომიკური მოდელების და მონაცემთა ანალიზის გამოყენებით;
6. წარადგენს საკუთარ კვლევას წარმატებულად სხვა მკვლევართა და საზოგადოების წინაშე, როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე წერილობითი ფორმით მათ შორის უცხოურ(ინგლისური ენა)ენაზე;
7. ახდენს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი მიგნებებისა და იდეების განვითარებას;
8. აყალიბებს დასაბუთებულ აზრს ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში და აღიარებს დასაბუთებულ საწინააღმდეგო აზრს;

11. სადოქტორო პროგრამის დახასიათება/კონცეფცია: ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა შედგება ორი ძირითადი – სასწავლო და კვლევითი ნაწილისგან.

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი აკადემიური და კვლევითი საქმიანობისათვის. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს.

სასწავლო კომპონენტი:

სავალდებულო კურსები - 35 კრედიტი;

არჩევითი კურსი 5 კრედიტი;

პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი - სავალდებულო,

თემატურისემინარი - 15 კრედიტი - სავალდებულო.

ა) პროფესორის ასისტენტობა ითვალისწინებს დოქტორანტის ჩართვას პროფესორის საქმიანობაში, იმ უნარების გამომუშავებას, რომელიც მას გამოადგება აკადემიურ სფეროში წარმატებული საქმიანობისათვის. იგი მოიცავს მონაწილეობას ისეთ საქმიანობაში როგორიცაა: სამუშაო ჯგუფი, პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება; ან სემინარზე დასწრება/ჩართულობა, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის საკითხების, ტესტების მომზადება, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, სასწავლო რესურსის მომზადება, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება, საჩვენებელი ლექციის ჩატარება, პროფესორის ასისტენტობა კვლევაში (მონაცემების შეგროვება, ბიბლიოგრაფიის შედგენა...), პროფესორთან ერთობლივი სამეცნიერო სტატიის მომზადება/გამოქვეყნება; პროფესორთან ერთობლივი სამეცნიერო მოხსენების მომზადება;

პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე. პროფესორის ასისტენტობისათვის კრედიტის მინიჭების წინაპირობა არის შესრულებული სამუშაოს დადებითად შეფასება წინასწარ შედგენილი კრიტერიუმების მიხედვით იმ პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტმა ასისტენტობა გაუწია. დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო (ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული მეცადინეობის საათები) არ უნდა შედიოდეს აკადემიური პერსონალის და/ან მოწვეული პროფესორების საათობრივ დატვირთვაში.

ბ) თემატური სემინარის ორგანიზებას ახდენს ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი. თემატური სემინარი არ არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი. თემატური სემინარის მონაწილეები წარმოადგენენ მოხსენებებს შესაბამისი დარგის აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე, რომელსაც მოჰყვება დისკუსია. თემატური სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები.

თემატური სემინარის შეფასება ხდება სამეცნიერო ხელმძღვანელისა და არანაკლებ 3 წევრისაგან შემდგარი კომისიის მიერ. კომისიას ქმნის სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით ფაკულტეტის საბჭო, სადაც მტკიცდება კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიაში შეიძლება შევიდნენ ფაკულტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები და/ან მოწვეული პროფესორები.

სამეცნიერო ხელმძღვანელი და კომისია თემატური სემინარის შეფასებას ახდენენ შესაბამისი ინსტრუქციით.

პროგრამის კვლევითი კომპონენტი

სადისერტაციო ნაშრომი – წარმოადგენს დოქტორანტურის ძირითად კომპონენტს. დოქტორანტი ირჩევს სადისერტაციო ნაშრომის თემას და სამეცნიერო ხელმძღვანელს მეორე სემესტრის დაწყებამდე. სადისერტაციო ნაშრომის თემას და სამეცნიერო ხელმძღვანელს ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო. დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობის შედეგს, ახასიათებდეს სიახლეს და წვლილი შეჰქონდეს შესაბამისი სამეცნიერო დარგის განვითარებაში.

დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომს ასრულებს ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად. სამეცნიერო ხელმძღვანელთან განხილვისა და შეთანხმების შემდეგ, ყოველი სემესტრის ბოლოს აკეთებს ანგარიშს ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ნაშრომი დასრულებულად ითვლება, თუ კვლევის მიზანი მიღწეულია, ასახულია თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებული შედეგები. ნაშრომი უნდა გამოირჩეოდეს მეცნიერული სიახლით და წვლილი უნდა შეჰქონდეს დარგის განვითარებაში. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისა და შესაბამისად მისი წარმოდგენის ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს (დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები.)

დოქტორანტები, რომელთაც შესრულებული აქვთ პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი, სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების შემდეგ დისერტაციას წარადგენენ და დაიცავენ დადგენილი წესით.

12. დოქტორანტის შეფასება

სასწავლო კომპონენტი:

1. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების (გარდა კონცენტრაციისა და მოდულისა) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.

ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვ.) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.

ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციით განსაზღვრული დადებითი შეფასების ვერმიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

4. სტუდენტის ცოდნა სასწავლო კომპონენტში ფასდება შუალედური (ერთჯერადი და/ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასებებით. დასკვნითი შეფასება არის სავალდებულო. თუ სტუდენტი არ მიიღებს დასკვნით შეფასებას, მას კურსი არ ჩაეთვლება გავლილად. სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა, თუ მან გადალახა შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სასწავლო კურსი ითვლება ჩაბარებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა გადალახა

შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასებისათვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და მიიღო დადებითი შეფასება თითოეულ მათგანში.

5. სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:

შუალედური შეფასებები (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);

დასკვნითი შეფასება.

6. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

7. შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად ან ელექტრონულად. დასკვნით გამოცდებს ატარებს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი.

8. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სადისერტაციო ნაშრომის) შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
 - ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
 - გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
 - დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
 - ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
 - ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
 - ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერა კმაყოფილებს.
- ამ მუხლის „ა“-„ე“ პუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ“ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
9. დოქტორანტის თემატური სემინარი ფასდება ასქულიანი სისტემით. სემინარის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი ინსტრუქციით.
13. დისერტაცია უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) შესაბამისი კრიტერიუმებით.

13. დასაქმების სფერო

ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციები;

სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურები;

კორპორაციული, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები;

უმაღლესი სასწავლო და კვლევითი დაწესებულებები.

**ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი**

#	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდი)	ECT S	პროგრამის სტატუსი შესაბამისი გადაწყვეტილები ს თარიღი და ნომერი ⁵	პროგრამის მოქმედების ვადა	პროგრამის განხორციელები ს ადგილი
	ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა	ქართული	ვეტერინარიის დოქტორი / PhD of Veterinary Medicine), კოდი - 0841	50	პირობით აკრედიტებული 04/11/2022 MES 1 22 0001425389	1 წლისა და 6 თვის ვადით	სსიპ სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი II კორპუსი
	სსიპ - სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	ფიზიკის დოქტორი/PHD in Physics კოდი 0533	50	აკრედიტებული 01/11/2022 MES 0 22 0001385347	7 წლით	სსიპ სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი II კორპუსი; საქართველოს ე.ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია
	Astronomy Joint Doctoral Programme of LEPL Samtskhe- Javakheti State University and LEPL E. Kharadze National Astrophysical Observatory	English	PHD in Physics code: 0533	50	01/11/2022 MES 0 22 0001385348	for 7 years	Samtskhe- Javakheti State University will ensure implementation ; E. Kharadze Georgian National Astrophysical Observatory ensures implementation

	ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამა	ქართული	ინფორმატიკის დოქტორი კოდი 04	180	აკრედიტებული - 28.06. 2016 წ. №28	31/12/2025	სსიპ სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი II კორპუსი
	აგრონომიის სადოქტორო პროგრამა	ქართული	აგრონომიის დოქტორი კოდი 0811	180	აკრედიტებული - 28.06. 2016 წ. №29	31/12/2025	სსიპ სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი II კორპუსი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა
PHD Program of Veterinary Medicine

- I. ფაკულტეტის დასახელება:** ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
- II. პროგრამის დასახელება:** ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა
- III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** დოქტორანტურა
- IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური
- V. სწავლების ენა:** ქართული
- VI. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ვეტერინარიის დოქტორი (PhD of Veterinary Medicine), კოდი - 0841
- VII. პროგრამის მოცულობა:** დოქტორანტურაში სწავლის მინიმალური ხანგრძლივობა 3 წელია (ექვსი სემესტრი).

სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი მოიცავს ორ კომპონენტს:

სასწავლო კომპონენტი - 50 კრედიტი (1 კრედიტი 25 სთ.);

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი.

სასწავლო კომპონენტი:

ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური ცოდნის დონის ამაღლებას და დახელოვნებას, რაც ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის რაოდენობა 50 კრედიტია, იგი მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. დოქტორანტი, საკვლევი თემის თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით სამეცნიერო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ასახავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.

სასწავლო კომპონენტი მოიცავს:

პროფესორის ასისტენტობა⁶ - 10 კრედიტი;

სამეცნიერო წერის მეთოდები⁷ - 5 კრედიტი;

სამეცნიერო კვლევის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები⁸ - 5 კრედიტი;

⁶ **პროფესორის ასისტენტობა.** დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში. პროფესორის ასისტენტობა ითვალისწინებს, დოქტორანტის ჩართვას პროფესორის საქმიანობაში, იმ ტრანსფერული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომელიც დოქტორანტს დაეხმარება აკადემიურ სფეროში წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისათვის. პროფესორის ასისტენტობა მოიცავს მონაწილეობას ისეთ საქმიანობაში როგორიცაა: სამუშაო ჯგუფი, პრაქტიკული და ლბორატორიული მეცადინეობის ჩატარება ან სემინარზე დასწრება/ჩართულობა, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის საკითხების ან/და ტესტების მომზადება, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, სასწავლო რესურსის მომზადება, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების რეცენზირება, საჩვენებელი ლექციის ჩატარება. დოქტორანტის შეფასება პროფესორის ასისტენტობაში ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე. პროფესორის ასისტენტობისათვის კრედიტის მინიჭების წინაპირობა არის შესრულებული სამუშაოს დადებითად შეფასება წინასწარ შედგენილი კრიტერიუმების მიხედვით (იხილეთ პროფესორის ასისტენტობის ინსტრუქცია).

⁷ **სამეცნიერო წერის მეთოდები.** ეს საგანი დოქტორანტს სამეცნიერო ნაშრომის შექმნაში ეხმარება, მასში განიხილება სწავლების პროცესში წარსადგენი ანგარიშების, სამეცნიერო ნაშრომებისა და პუბლიკაციების, სადისერტაციო ნაშრომის წერის წესები და სამეცნიერო ნაშრომის ყველა შესაძლო ფორმატი და სტილი, ასევე სამეცნიერო წერისას ისწავლება ტექსტის შესავალი, ძირითადი, დასკვნითი ნაწილების შედგენის ფორმები, ტექსტის კრიტიკული ანალიზი, ლიტერატურის მიმოხილვა, პლაგიატიზმის საკითხები და სწორი ციტირების ხერხები.

⁸ **სამეცნიერო კვლევის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები.** ეს საგანი ამზადებს დოქტორანტს კვლევის მეთოდების სიღრმისეული შესწავლისათვის, რომელიც გამოიყენება ვეტერინარული მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებებში, ასევე ეხმარება

სწავლების თანამედროვე მეთოდები⁹ - 5 კრედიტი
სამეცნიერო პროექტის მენეჯმენტი¹⁰ - 5 კრედიტი
სადოქტორო სემინარი¹¹ - 10 კრედიტი;
არჩევითი სასწავლო კურსები¹² - 10 კრედიტი.
სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი:

ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ისეა სტრუქტურირებული, რომ უზრუნველყოფს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის დაგეგმვასა და განხორციელებას. სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს წინ უსწრებს კვლევითი უნარების განმამტკიცებელი თეორიული და პრაქტიკული კურსები, რომლებიც დოქტორანტს ეხმარება შესაბამისი მიმართულებით კვლევითი ინტერესების ჩამოყალიბებაში.

დოქტორანტურის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, რომელსაც დოქტორანტი ასრულებს დისერტაციის დასრულებამდე, მოიცავს შემდეგ თანმიმდევრულ ეტაპებს:

7. **კვლევის ნაწილი I:** კვლევის პროექტი, კვლევის გეგმა, ბიბლიოგრაფიული მონახაზი და მასზე მუშაობა;
8. **კვლევის ნაწილი II:** ბიბლიოგრაფიულ ძირითად მონაცემებზე მუშაობის დასრულება და კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
9. **კვლევის ნაწილი III:** გამოსაკვლევი მასალის შეგროვება და კვლევების განხორციელება;
- კვლევის ნაწილი IV:** გამოსაკვლევი მასალების შეგროვების დასრულება, კვლევების განხორციელება და დისერტაციის პირველი (ლიტერატურის მიმოხილვა) და მეორე თავის (კვლევის მასალა და მეთოდების) დასრულება-წარდგენა სამეცნიერო ხელმძღვანელთან;

დოქტორანტს სადისერტაციო თემატიკით გათვალისწინებული კვლევების ჩასატარებლად და დისერტაციაზე მუშაობის მეთოდებისა და მიდგომების მეცნიერული და პრაქტიკული უნარების გამოუმუშავებაში.

⁹ **სწავლების თანამედროვე მეთოდები.** საგანი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა უმაღლესი სკოლის განათლების მეცნიერული საფუძვლების შესწავლისთვის თანამედროვე მეთოდოლოგიის ცოდნა, უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე რეფორმის ამოცანებიდან გამომდინარე, ცვლილებების გააზრებას, როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე სტუდენტების საქმიანობასთან დაკავშირებით საყოველთაო ინფორმაციისა და გლობალიზაციის პირობებში. დოქტორანტს ეცოდინება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების წინაპირობები, ამოცანები და აღნიშნული მიდგომის პრაქტიკაში განხორციელების სტრატეგიების გამოყენებით უახლეს ინფორმაციის მიწოდების მეცნიერული საფუძვლების ანალიზი.

¹⁰ **სამეცნიერო პროექტის მენეჯმენტი.** საგანი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კვლევის სხვადასხვა დიზაინი, მონაცემთა წყაროების იდენტიფიცირება და განმარტება, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ხერხები, სტატისტიკური და რაოდენობრივი ანალიზის შედეგების გრაფიკული და ვიზუალური წარმოდგენა, კვლევის ეთიკა. ასევე, დოქტორანტი იძენს იმ ცოდნას და უნარებს, რომელიც საჭიროა ნებისმიერი სახის სამეცნიერო საპროექტო განაცხადისა და სამეცნიერო ნაშრომების მოსამზადებლად და განსახორციელებლად. კურსი შეეხება თანამედროვე მეცნიერების ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფას, მათ შორის სამეცნიერო იდეის პროექტად ჩამოყალიბების, დაფინანსების მოძიების სტრატეგიებს, პროექტის ციკლების მართვის საკითხებს და სხვა.

1. ¹¹ **სადოქტორო სემინარი.** სადოქტორო სემინარის ორგანიზებას ახდენს ვეტერინარიის სადისერტაციო საბჭოს მდივანი ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით. სადოქტორო სემინარის თემას არჩევს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან შეთანხმებით. სადოქტორო სემინარის თემა არ არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი. დოქტორანტი სემინარის თემის საკითხებზე წარმოადგენს მოხსენებას ვეტერინარიის დარგისა და მის მიერ არჩეული მიმართულების აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე, რომელსაც მოჰყვება დისკუსია. სადოქტორო სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი ან/და ხელმძღვანელები, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელი ან/და ხელმძღვანელები და დოქტორანტები. პრეზენტაციის სტრუქტურის, პრობლემის აქტუალობის, აგების ლოგიკური თანმიმდევრობის შესახებ და ა.შ. კონსულტაციას დოქტორანტი იღებს სამეცნიერო ხელმძღვანელისაგან. სადოქტორო სემინარი პრეზენტაცია წარედგინება ამ საკითხების კვლევით დაინტერესებულ პირებს. სადოქტორო სემინარი ფასდება სამეცნიერო ხელმძღვანელისა და კომისიის მიერ. სადოქტორო სემინარის მიზანია დოქტორანტს შესძინოს უახლეს მიდწევებზე დამყარებული ცოდნა, გამოუმუშაოს პრობლემატური საკითხების გაცნობიერების, პრობლემის ადეკვატურად გადაწყვეტის, ანალიტიკური მიდგომების, საკითხის კრიტიკულად გააზრების უნარი და სხვა (იხილეთ სადოქტორო სემინარის ინსტრუქცია).

¹² **არჩევითი სასწავლო კურსები.** დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით 10 კრედიტის მოცულობით ირჩევს პროგრამით განსაზღვრული სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების შესაბამის არჩევით სასწავლო კურსებს, რაც ითვალისწინებს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სპეციალური და მომიჯნავე საგნის/საგნების სიღრმისეულ სწავლებას.

კვლევის ნაწილი V: კვლევების განხორციელების დასრულება და მონაცემთა ანალიზი. სადისერტაციო ნაშრომის ძირითად ნაწილზე (საკუთარი გამოკვლევები) მუშაობა. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე სტატიების მომზადება და გამოქვეყნება;

12. კვლევის ნაწილი VI: სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო ვერსიის მომზადება, საჯარო დაცვა.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესრულების ეტაპების განმარტება:

კვლევის ნაწილი I - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელს წარუდგენს კვლევის გეგმას (ზეპირი პრეზენტაციის სახით) და პროსპექტუსს (დაწერილი ნაშრომის სახით). კვლევითი კომპონენტის I ნაწილი შესრულებულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტის ნამუშევარს სამეცნიერო ხელმძღვანელისაგან დადებითი შეფასება ექნება;

კვლევის ნაწილი II - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელს აბარებს ბიბლიოგრაფიულ ნაშრომს და მეთოდოლოგიურ მონახაზს (წერილობითი ნაშრომის სახით);

კვლევის ნაწილი III - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელს წარუდგენს საკვლევ მასალაზე მიმოხილვას პრეზენტაციის სახით და სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურას ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციის სახით;

კვლევის ნაწილი IV - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელს ზეპირი პრეზენტაციის სახით წარუდგენს ანგარიშს ჩატარებული სამუშაოს შესახებ, ასევე წერილობითი სახით ინფორმაციას დისერტაციის პირველი და მეორე თავის შესრულების შესახებ;

კვლევის ნაწილი V - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელს ზეპირი პრეზენტაციის სახით წარუდგენს ანგარიშს ჩატარებული კვლევითი სამუშაოს შესახებ, ასევე სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე მომზადებულ სამეცნიერო ნაშრომს;

კვლევის ნაწილი VI - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელს წარუდგენს გაფორმებულ სადისერტაციო ნაშრომს, დოქტორანტმა უნდა დაიცვას სადისერტაციო ნაშრომი ვეტერინარიის მიმართულებით დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მიხედვით გაწერილი წესით (მუხლი 13 და 14).

სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება - სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე დოქტორანტს, მის მიერ განხორციელებული კვლევის სფეროს გათვალისწინებით, ინჰაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში ავტორობით ან თანავტორობით გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს (ან მიღებული იყოს დასაბეჭდად) სამეცნიერო სტატია. სადისერტაციო ნაშრომისა და სამხარეო პათოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შეუძლია განსაზღვროს აუცილებელი სამეცნიერო პუბლიკაციების სხვა მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნების შესაძლებლობა (დეტალური ინფორმაცია სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით გაწერილია ვეტერინარიის მიმართულებით დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მე 13 მუხლის, 13.1 ქვეპუნქტის, „ვ“ პარაგრაფში).

დისერტაცია - დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი უნდა იყოს სიახლეზე დაფუძნებული კვლევები, რომელიც არჩეული მიმართულებით დამატებითი ცოდნის შეძენის შესაძლებლობას იძლევა. დოქტორანტმა სადისერტაციო ნაშრომში უნდა ჩამოაყალიბოს თემის აქტულობა, კვლევის მეთოდების სიახლე, დასაბუთებული თეორიული ან/და ექსპერიმენტული შედეგები და მიღებული შედეგების თეორიული ან/და პრაქტიკული მნიშვნელობა, დასკვნები.

დოქტორანტურაში სწავლის მინიმალური ხანგრძლივობა 3 წელია (ექვსი სემესტრი).

ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს თანამშრომლობას მემორანდუმების ან/და ხელშეკრულებების ფარგლებში საზღვარგარეთისა და ჩვენი ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ სწავლებას ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამებზე, ასევე სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედ სხვა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებთან. თანამშრომლობა მოიცავს ერთობლივ კვლევებში მონაწილეობას, ერთობლივი საერთაშორისო კვლევებისა და კვლევითი სემინარების განხორციელებას, სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატარებას, დოქტორანტების და პროფესორის

საერთაშორისო და ეროვნულ საგრანტო პროექტებში ჩართულობას და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებას.

ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის შემუშავებისას გავაცანით და გავითვალისწინეთ არსებული წარმატებული მოდელები, როგორც ამერიკაში, ასევე ევროპაში და საქართველოში, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიას უნივერსიტეტის ვეტერინარული მედიცინის კოლეჯის, ბელგიის გენტის უნივერსიტეტის, ესტონეთის ტარტუს სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტის სავეტერინარო მედიცინისა და ცხოველთა მეცნიერებების ინსტიტუტის, თურქეთის რესპუბლიკის კავკასიის უნივერსიტეტის ვეტერინარიის ფაკულტეტის, ა(აიპ) საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამები და საქართველოს სამხარეო პათოლოგიის გათვალისწინებით ჩამოვყალიბეთ კურიკულუმი.

დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში სტუდენტები შეისწავლიან ძირითადი ფუნდამენტალური მიღწევების ინტეგრირებას კლინიკურ კვლევებში, რათა მოახდინონ ვეტერინარიისა და ბიოლოგიის მიმართულებით მეცნიერებაში არსებული უახლესი გამოგონებებისა და მიღწევების გამოყენება ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობის დასაცავად და გასაუმჯობესებლად.

ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა ძირითადად ეფუძნება გამოყენებით კლინიკურ კვლევებს შემდეგი მიმართულებით:

- ინფექციური დაავადებები, თერაპია და პროფილაქტიკა;
- ცხოველური წარმოშობის სურსათის უვნებლობა;
- პათოლოგია, ონკოლოგია და მორფოლოგია.

VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ვეტერინარიის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომლის დიპლომი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის „უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება“ შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს ვეტერინარიის მიმართულებით უცხოეთის უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს.

საქართველოს მოქალაქე დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. კონკურსანტისთვის, რომელსაც არ ექნება წარმოდგენილი ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ინიშნება გამოცდა ინგლისურ ენაში (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა). გამოცდა ბარდება საგამოცდო კომისიის წინაშე. გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. ინგლისური ენის გამოცდაში მიღებული დადებითი ქულა არ განსაზღვრავს დოქტორანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას. დოქტორანტობის კანდიდატს, რომელსაც გავლილი აქვს ინგლისურენოვანი პროგრამა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) გამოცდის ჩაბარება ან/და საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება.

დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატს, რომელსაც ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სურს სწავლის გაგრძელება, მოეთხოვება ქართული და ინგლისური ენების B2 დონეზე ცოდნის დადამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბაროს გამოცდა ქართულ და ინგლისურ ენებში (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა). გამოცდა ბარდება საგამოცდო კომისიის წინაშე. ქართული და ინგლისური ენის გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. ქართული და ინგლისური ენის გამოცდაში მიღებული დადებითი ქულა არ განსაზღვრავს დოქტორანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას.

ქართული და ინგლისური ენების B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის ან გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, იმართება სადოქტორო განაცხადის განხილვა (დარგობრივი კომისიის მიერ შეფასდება მაქსიმუმ 40 ქულით, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა) და საკონკურსო გამოცდა სპეციალობაში (ტადება ზეპირი ფორმით, დარგობრივი კომისიის წინაშე, რომლის მაქსიმალური შეფასებაა 60 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 30 ქულა) (იხილეთ მიღების დოკუმენტი).

ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება კომისიური წესით. ფაკულტეტის საბჭო (სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით) განსაზღვრავს საკონკურსო კომისიის შემადგენლობას.

თანაბარქულებიანი კონკურსანტების შემთხვევაში მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული გამოცდილება და სხვა დოკუმენტები (საგრანტო პროექტები, სერთიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.) (იხილეთ, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვეტერინარიის მიმართულების დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება).

დოქტორანტობის კანდიდატს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, უფლება აქვს გაასაჩივროს საგამოცდო შედეგების შეფასებები.

ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის N10/5 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

IX. პროგრამის ხელმძღვანელი: ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლევან მაკარაძე

X. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა, უმაღლესი და პროფესიული განათლების ინტეგრირების, სწავლებისა და კვლევის გზით წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში.

უნივერსიტეტს ვეტერინარიის მიმართულებით აქვს უნიკალური ადამიანური რესურსი მაღალკვალიფიციური პროფესორის სახით, საერთაშორისო კავშირები და მნიშვნელოვანი მემორანდუმები და ხელშეკრულებები ურთიერთანამშრომლობის შესახებ, რაც ქმნის სრულყოფილ გარემოს, როგორც დარგობრივი კვლევითი და სასწავლო საქმიანობის, ასევე ინტერდისციპლინარული კვლევების განხორციელების, მთლიანობაში კი შესაძლებლობას იძლევა მომზადდეს კვალიფიციური ვეტერინარიის დოქტორი, რომელსაც შეეძლება ჩაერთოს სამეცნიერო, პედაგოგიურ და პრაქტიკულ საქმიანობაში.

პროგრამის მიზანია:

1. დოქტორანტმა დისერტაციის სახით შექმნას ახალი მეცნიერული ცოდნა ვეტერინარიის მიმართულებით, ტრადიციული და ინოვაციური მეთოდოლოგიისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით;
2. კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ვეტერინარიის მიმართულებით დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და პედაგოგიური სწავლება, ასევე შეძლონ ვეტერინარული განათლება შეუსაბამონ ნაციონალური ჯანდაცვის სისტემის მოთხოვნებს;
3. ვეტერინარიაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურება, სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლება და მკვლევართა ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში.

. დასაქმების სფეროები:

ვეტერინარის პროფესია რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ვეტერინარიის დოქტორის აკადემიური ხარისხი და უფლება ექნებათ იმუშაონ:

- სავეტერინარო და სამედიცინო მიმართულების სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, სამეცნიერო ცენტრებში, სადიაგნოსტიკო ლაბორატორიებსა და ინსტიტუტებში;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- შესაბამის სახელმწიფო უწყებებში;
- ფარმაცევტულ საწარმოებში;
- სავეტერინარო კლინიკებსა და ლაბორატორიებში;
- მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საწარმოებსა და ფაბრიკებში;
- ვეტერინარიის დოქტორს შეუძლია დაიკავოს მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი ნებისმიერი თანამდებობა, რომელიც დადგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და დაწესებულებათა საშტატო ნომენკლატურით.

XII. სწავლის შედეგი:

ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი სწავლის შედეგები:

სწავლის შედეგები	ცოდნა და გაცნობიერება	აქვს ვეტერინარიაში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის განმტკიცებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებაა ვეტერინარული მეცნიერების ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა პოპულაციური და გამოყენებითი კლინიკური ვეტერინარია; ფლობს ტრანსფერულ უნარებს. აცნობიერებს ვეტერინარიის მიმართულებით ახალი მეცნიერული ცოდნის შექმნის საჭიროებას ტრადიციული და ინოვაციური მეთოდოლოგიისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით.
	უნარი	ამუშავებს ადეკვატურ მეთოდოლოგიას კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელების, ზედამხედველობისა და კვლევებში ექსპერიმენტული მოდელის შესაქმნელად; პრობლემის გადაჭრისათვის მოიძიებს ინფორმაციას, იღებს სწორ და ეფექტიან გადაწყვეტილებას შესაბამისი კვლევების განხორციელების შესახებ, ახდენს ახალი რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას; ვეტერინარიაში განხორციელებული კვლევის შედეგებს წარმატებით ნერგვას პრაქტიკაში; მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო დონეზე გამართულ თემატიურ დისკუსიებში, არგუმენტირებულად წარმოაჩენს და იცავს საკუთარ პოზიციებს, ისმენს და აფასებს საწინააღმდეგო მოსაზრებას, აკადემიურად მონაწილეობს სამეცნიერო კამათში. დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩენს არსებულ და ახალ ცოდნას როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოების წინაშე.
	პასუხისმგებლობა ა და ავტონომიურობა	აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ამზადებს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ სამეცნიერო ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომსა და პუბლიკაციებს. აგრძელებს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ლაბორატორიებში, ინდივიდუალურად და ჯგუფურად

		მუშაობს სამეცნიერო კვლევებზე სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, სწავლება-სწავლას ახორციელებს უახლესი მეთოდებისა და მათი სტრატეგიათა კომბინაციით.
--	--	--

სწავლის შედეგების შეფასება

სწავლის შედეგები	სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები				სამიზნე ნიშნულები
	პირდაპირი		არაპირდაპირი		
	მეთოდი	დრო	მეთოდი	დრო	
1. აქვს ვეტერინარიაში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის განმტკიცებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებაა ვეტერინარული მეცნიერების ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა პოპულაციური და გამოყენებითი კლინიკური ვეტერინარია; ფლობს ტრანსფერულ უნარებს.	სადოქტორო სემინარი; პროფესორის ასისტენტობა; კონფერენცია; სადისერტაციო ნაშრომი	სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ; დისერტაციის დაცვის დროს	პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება; სტუდენტის გამოკითხვა. კურსდამთავრებულის გამოკითხვა	სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ; დისერტაციის დაცვის შემდეგ.	წარმატებული - 20 % დამაკმაყოფილებელი 70% წარუმატებელი - 10%
2. აცნობიერებს ვეტერინარიის მიმართულებით ახალი მეცნიერული ცოდნის შექმნის საჭიროებას ტრადიციული და ინოვაციური მეთოდოლოგიისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით.	სადოქტორო სემინარი; პროფესორის ასისტენტობა; სადისერტაციო ნაშრომი	სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ; დისერტაციის წინასწარი განხილვა; დისერტაციის დაცვის დროს;	პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება; სტუდენტის გამოკითხვა. კურსდამთავრებულის გამოკითხვა.	სწავლის პერიოდში; დისერტაციის დაცვის შემდეგ.	წარმატებული - 20 % დამაკმაყოფილებელი 70% წარუმატებელი - 10%
3. ამუშავებს ადეკვატურ მეთოდოლოგიას კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელების, ზედამხედველობისა და კვლევებში ექსპერიმენტული მოდელის შესაქმნელად;	სადოქტორო სემინარი; კონფერენცია;	სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ;	პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება;	სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ;	წარმატებული - 20 % დამაკმაყოფილებელი 70% წარუმატებელი - 10%

	სადისერტაციო ნაშრომი	დისერტაციის დაცვის დროს;	სტუდენტის გამოკითხვა. კურსდამთავრებულის გამოკითხვა.	დისერტაციის დაცვის შემდეგ.	
4. პრობლემის გადაჭრისათვის მოიძიებს ინფორმაციას, იღებს სწორ და ეფექტიან გადაწყვეტილებას შესაბამისი კვლევების განხორციელების შესახებ, ახდენს ახალი რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას;	სადოქტორო სემინარი კონფერენცია; სადისერტაციო ნაშრომი	სწავლის პერიოდში; დისერტაციის წინასწარი განხილვა; დისერტაციის დაცვის დროს;	პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება; სტუდენტის გამოკითხვა. კურსდამთავრებულის გამოკითხვა	სწავლის პერიოდში; დისერტაციის დაცვის შემდეგ.	წარმატებული - 20 % დამაკმაყოფილებელი 70% წარუმატებელი - 10%
5. ვეტერინარიაში განხორციელებული კვლევის შედეგებს წარმატებით ნერგვას პრაქტიკაში;	სადოქტორო სემინარი; პროფესორის ასისტენტობა; კონფერენცია; სადისერტაციო ნაშრომი	სწავლის პროცესში; სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ; დისერტაციის დაცვის დროს;	პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება; სტუდენტის გამოკითხვა. კურსდამთავრებულის გამოკითხვა	სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ; დისერტაციის დაცვის შემდეგ.	წარმატებული - 20 % დამაკმაყოფილებელი 70% წარუმატებელი - 10%
6. მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო დონეზე გამართულ თემატიურ დისკუსიებში, არგუმენტირებულად წარმოაჩენს და იცავს საკუთარ პოზიციებს, ისმენს და აფასებს საწინააღმდეგო მოსაზრებას, აკადემიურად მონაწილეობს სამეცნიერო კამათში. დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩენს არსებულ და ახალ ცოდნას როგორც	სადოქტორო სემინარი; პროფესორის ასისტენტობა; კონფერენცია;	სწავლის პერიოდში; სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ;	პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება; სტუდენტის გამოკითხვა.	სწავლის პერიოდში; სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ;	წარმატებული - 20 % დამაკმაყოფილებელი 70% წარუმატებელი - 10%

კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოების წინაშე.	სადისერტაციო ნაშრომი	დისერტაციის დაცვის დროს;	კურსდამთავრებულის გამოკითხვა	დისერტაციის დაცვის შემდეგ.	
7. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ამზადებს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ სამეცნიერო ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომსა და პუბლიკაციებს. აგრძელებს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ინდივიდუალურად და ჯგუფურად მუშაობს სამეცნიერო კვლევებზე სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, სწავლება-სწავლას ახორციელებს უახლესი მეთოდებისა და მათი სტრატეგიათა კომბინაციით.	სადოქტორო სემინარი; პროფესორის ასისტენტობა; კონფერენცია; სადისერტაციო ნაშრომი	სწავლის პერიოდში; სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ; დისერტაციის დაცვის დროს;	პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება; სტუდენტის გამოკითხვა. კურსდამთავრებულის გამოკითხვა	სწავლის პერიოდში; სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ; დისერტაციის დაცვის შემდეგ.	წარმატებული - 20 % დამაკმაყოფილებელი 70% წარუმატებელი - 10%

სტუდენტის შეფასება

სასწავლო კომპონენტში დოქტორანტის ცოდნის შეფასება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3) და უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პორცის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები დამღეული აქვს.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციით განსაზღვრული დადებითი შეფასების ვერმიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:

- შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
- დასკვნითი შეფასება.

სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.

შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად ან ელექტრონულად.

სადოქტორო სემინარი ფასდება ასქულიანი სისტემით: სამეცნიერო ხელმძღვანელისა და კომისიის მიერ. ხელმძღვანელი აფასებს 60 ქულით, კომისია - 40-ით. ხელმძღვანელის შეფასება დადებითად ითვლება, თუ თემა შეფასდება 31 და მეტი ქულით. სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით. პრეზენტაციაში დადებით შეფასებად ითვლება 20 და მეტი ქულა. მთლიანობაში დადებით შეფასებად ითვლება 51 და მეტი ქულა.

პროფესორის ასისტენტობა ფასდება 100-ქულიანი სისტემით:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
8. Evaluates systemically and critically in the specific disciplines of the astronomy based on the field theory principles, such as solar system, our and Systematically and critically evaluates the specific disciplines of astronomy based on the theoretical principles of the field: the solar system, the knowledge of our and extraterrestrial celestial objects, the latest achievements, which allows the expansion of existing knowledge and the use of innovative approaches.	A conference A seminar A dissertation paper	After completion of the educational component After defending of a dissertation	Observation of the program and scientific supervisors; Students’ survey; Graduates’ survey; Employers’ survey;	After completion of the educational component; After defending of a dissertation; A year later since employment	Successful 20 % Satisfactory 70% Unsuccessful 1 - 10%
9. Reconsiders and re-evaluates existing knowledge using traditional and innovative research methods, plans and implements (individually or in groups) a scientific research whose results have a practical (applied) purpose..	A seminar A dissertation paper	After completion of the educational component After defending of a dissertation	Observation of the program and scientific supervisors; Students’ survey; Graduates’ survey; Employers’ survey;	After completion of the educational component; After defending of a dissertation; A year later since employment	A-10% B-25% C-30% D-25% E-10%. F – 0 %. Fx - 0 %.
3. Process the data of the observed material of the selected celestial objects, which will be obtained from the original research or field sources; Makes correct, strategic and effective	9. Scientific writing skills; 10. Physical characteristic	After completion of the educational component	Observation of the program and scientific supervisors;	After completion of the educational component;	Excellent - 5% Very good - 25% Good -35%

decisions based on critical analysis or synthesis of new, complex and conflicting ideas and approaches.	s of the near-earth asteroids; 11. Solar physics; 12. Structure and evolution of the stellar systems; 13. The physics of active galaxies; 14. Cosmic weather; 15. A seminar; 16. A dissertation paper	After defending of a dissertation	Students' survey; Graduates' survey; Employers' survey;	After defending of a dissertation; A year later since employment	Average-25% Satisfactory -10%. Unsatisfactory – 0% Fully Unsatisfactory- 0 %
4. Determines the place of the chosen sub-field (solar system, our and outer galactic objects) between modern sciences (natural sciences, technical ...) and interdisciplinary studies. Collaborates successfully with representatives of neighboring fields of astronomy to strengthen interdisciplinary research.	1. Traditional and modern methods of research; 2. Arithmetical processing and models of the observed material; 3. Physical characteristics of the near-earth asteroids; 4. Solar physics; 5. Structure and evolution of the stellar systems; 6. Theoretical Astrophysics; 7. Cosmic weather; 8. A seminar; 9. A dissertation paper	After completion of the educational component After defending of a dissertation	Observation of the program and scientific supervisors; Students' survey; Graduates' survey; Employers' survey;	After completion of the educational component; After defending of a dissertation; A year later since employment	A-15% B-25% C-30% D-25% E- 5%. F – 0%. Fx - 0 %.

. Prepares qualification papers and publications of scientific value focused on the creation of new knowledge (at the level of the standard required for international peer-reviewed publications in the field of astronomy and astrophysics) in accordance with the principles of academic good faith. Based on the acquired knowledge, continues independent scientific research activities in scientific institutions, universities, as well as works in groups on scientific research within the framework of this or that project.	11. Scientific writing skills; 12. Traditional and modern methods of research; 13. Physical characteristics of the near-earth asteroids; 14. Solar physics; 15. Structure and evolution of the stellar systems; 16. The physics of active galaxies; 17. Theoretical Astrophysics 18. Cosmic weather; 19. A seminar; 20. A dissertation paper	After completion of the educational component After defending of a dissertation	Observation of the program and scientific supervisors; Students' survey; Graduates' survey; Employers' survey;	After completion of the educational component; After defending of a dissertation; A year later since employment	Excellent - 5% Very good - 25% Good -35% Average- 25% satisfactory- 10%. unsatisfactory – 0% Fully unsatisfactory - 0 %
Participates in scientific discussions, presents his / her position and defends it with arguments. Has developed the ability to listen to dissenting opinion and scientific debate, to participate in thematic discussions locally and internationally. It also has the ability to demonstrate and clearly transmit new knowledge in relation to existing	12. Modern methods of teaching; 13. Traditional and modern methods of research;	After completion of the educational component	Observation of the program and scientific supervisors; Students' survey; Graduates' survey;	After completion of the educational component; After defending of	Successful - 20 % satisfactory 70% unsuccessful - 10%

knowledge, both to colleagues and to the general public.	14. Phys ical characteristic s of the near- earth asteroids; 15. Sola r physics; 16. Stru cture and evolutio of the stellar systems; 17. The physics of active galaxies; 18. Theoretic al Astrophysics; 19. Cosmic weather; 20. A seminar; 21. Assistance to professor; 22. A dissertation paper	After defending of a dissertation	Employers' survey;	a dissertation; A year later since employment	
Uses the principles of compiling syllabi. Creates teaching-methodological materials, syllabi, lecture courses and lectures of specific disciplines successfully.	Assistance to professor	After completion of the educational component	Observation of the program and scientific supervisors; Students' survey; Graduates' survey; Employers' survey;	After completion of the educational component; A year later since employment	A-10% B-25% C-30% D-25% E-10%. F – 0 %. Fx - 0 %.

ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამა

I. ფაკულტეტის დასახელება: ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

II. პროგრამის დასახელება: ინფორმატიკა

III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა

IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

V. სწავლებისენა: ქართული

VI. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ინფორმატიკის დოქტორი (PhD in Informatics);

VII. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: 6 სემესტრი.

სასწავლო კომპონენტი შეადგენს 45 კრედიტს,

სასწავლო კომპონენტი:

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს. დოქტორანტი სადოქტორო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით განსაზღვრავს სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევით ელემენტებს და მათი კრედიტების რაოდენობას, რასაც ასახავს დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში.

სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ელემენტებიდან დოქტორანტისათვის სავალდებულოა:

პროფესორის ასისტენტობა¹⁷ - 15 კრედიტი (სალექციო კრედიტები ითვლება სასწავლებელში ამ კურსისადმი მინიჭებული კრედიტების მიხედვით);

სემინარი¹⁸ - 15 კრედიტი;

სასწავლო კომპონენტის დანარჩენი ელემენტები (დარგობრივი კურსები) არის არჩევითი.

სალექციო კურსები მთლიანობაში შეადგენს არაუმეტეს 15 კრედიტისა;

კვლევითი კომპონენტი:

სადოქტორო დისერტაციის მომზადება და დაცვა;

დოქტურანტურაში სწავლის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს მაქსიმუმ ოთხი სემესტრით (2 წელი) კრედიტების იმავე რაოდენობის შენარჩუნებით.

VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის კურსდამთავრებულს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭებათ: ინჟინერიის, მათემატიკის და ფიზიკის სპეციალობებში მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს.

¹⁷ ასისტენტობა ითვალისწინებს დოქტორანტის ჩართვას პროფესორის საქმიანობაში, იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომელიც მას გამოადგება აკადემიურ სფეროში წარმატებული საქმიანობისათვის. იგი მოიცავს მონაწილეობას ისეთ საქმიანობაში როგორიცაა: სამუშაო ჯგუფი, პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება; დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე. პროფესორის ასისტენტობისათვის კრედიტის მინიჭების წინაპირობა არის შესრულებული სამუშაოს დადებითად შეფასება წინასწარ შედგენილი კრიტერიუმების მიხედვით იმ პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტმა ასისტენტობა გაუწია. დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო (ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული მეცადინეობის საათები) არ უნდა შედიოდეს აკადემიური პერსონალის და/ან მოწვეული პროფესორების საათობრივ დატვირთვაში.

¹⁸ სემინარის ორგანიზებას ახდენს ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი/დეკანის მოადგილე) შესაძლებელია, შეიქმნას ინტერდისციპლინური და ინტერფაკულტატური სემინარები. სემინარი არ არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი. სადოქტორო სემინარის მონაწილეები წარმოადგენენ მოხსენებებს შესაბამისი დარგის აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე, რომელსაც მოჰყვება დისკუსია. სამეცნიერო სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ სადოქტორო პროგრამები ხელმძღვანელები, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები. დოქტორანტი სამეცნიერო მოხსენებას ამზადებს სხვადასხვა დონის კონფერენციისათვის. მოხსენების სტრუქტურის, პრობლემის აქტუალობის, აგების ლოგიკური თანმიმდევრობის შესახებ და ა.შ. კონსულტაციებს იღებს ხელმძღვანელისაგან. სამეცნიერო მოხსენება წარედგინება ამ საკითხების კვლევით დაინტერესებულ პირებს. მიღწეული შედეგი შეფასდება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება უცხოური ენის (ინგლისური) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატს, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა, მოეთხოვება ქართული ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე. იგი ვალდებულია წარმოადგინოს ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბაროს გამოცდა ქართულენაში. (გამოცდა ჩატარდება „ქართულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა)“ შესაბამისად) იხილეთ **დანართი**.

უცხოური/ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის, ან გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, ტარდება საკონკურსო გამოცდა სპეციალობაში. ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს მისაღებ კონტიგენტს, სწავლის საფასურს, საკონკურსო გამოცდების ვადებს, საგამოცდო კომისიის შემადგენლობასა და გამოცდების ფორმატს (გამოცდა შეიძლება ჩატარდეს წერილობით, ზეპირად, ელექტრონული პროგრამით ან შერეული სახით).

IX. პროგრამის ხელმძღვანელი:

ვასილ ტაბატაძე - სჯსუ ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საკონტაქტო ინფორმაცია: ელ.ფოსტა – vasilitabatadze@gmail.com ტელ.: 599 00 60 94).

ლელა წითაშვილი - სჯსუ ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი lelatsitashvili@sjuni.edu.ge 599 44 00 53

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
კოორდინატორი - ლერი ნოზაძე - სჯსუ ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი lerinozadze@yahoo.com 555 94 20 52

X პროგრამის აკრედიტაცია 2016 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №28;

XI პროგრამის მიზანი:

1. ხელი შეუწყოს ახალი ცოდნის შექმნას და დოქტორანტის ჩამოყალიბებას მაღალი სამეცნიერო ღირებულებების მქონე მეცნიერად ინფორმატიკის მიმართულებით, რომელსაც ექნება დარგის უახლესი ცოდნა და შეეძლება განახორციელოს ორიგინალური სამეცნიერო კვლევები
2. LINUX ოპერაციული სისტემა GRID სერვერებისათვის მრავალპარამეტრიანი ამოცანების გადაჭრა, ოპტიმიზაციის ამოცანების და დეტერმინისტური მეთოდების მათემატიკური მოდელირება და პროგრამული რეალიზება;
3. ელექტრომაგნიტური მოვლენების (დიფრაქციის და გაბნევის) ამოცანების კომპიუტერული მოდელირება; ელექტრომაგნიტური შემთავსებლობა, დედაპლატის სხვადასხვა კომპონენტების ერთმანეთთან ურთიერთქმედების მინიმიზაცია;
4. მონაცემთა ბაზებში მოთხოვნათა ოპტიმიზაცია ევოლუციური და გენეტიკური პროგრამირების ალგორითმებით. დიდ მონაცემთა საცავებთან მუშაობა და OLAP კუბების დაპროექტება.

XII. სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებზე (ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამირების ენების გამოყენების საფუძველზე ობიექტური მოდელის აგება, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები, დიდ მონაცემთა თანამედროვე კონცეფციები, მართვისა და დაცვის თანამედროვე კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიები) დამყარებული ცოდნა. აცნობიერებს არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და გადაფასების გზით მისი არეალის გაფართოების, განახლების და ინოვაციური მეთოდების გამოყენების აუცილებლობას.
------------------------------	--

უნარი	ემლია: LINUX ოპერაციული სისტემა GRID სერვერებისათვის მრავალპარამეტრიანი ამოცანების გადაჭრა, ოპტიმიზაციის ამოცანების და დეტერმინისტური მეთოდების მათემატიკური მოდელირება და პროგრამული რეალიზება; ელექტრომაგნიტური მოვლენების (დიფრაქციის და გაბნევის) ამოცანების კომპიუტერული მოდელირება; ელექტრომაგნიტური შემთავსებლობა, დედაპლათის სხვადასხვა კომპონენტების ერთმანეთთან ურთიერთქმედების მინიმიზაცია; მონაცემთა ბაზების დაპროექტება, მონაცემთა ბაზებში მოთხოვნათა ოპტიმიზაცია ევოლუციური და გენეტიკური პროგრამირების ალგორითმებით. დიდ მონაცემთა საცავებთან მუშაობა და OLAP კუბების დაპროექტება, პრობლემის გადაჭრის მაქსიმალურად ეფექტური გზის ძიება და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება; კვლევის თემატიკასთან დაკავშირებით ახალი ცოდნის, მეცნიერული დასკვნებისა და არგუმენტების ეფექტურად წარმოჩენა; ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	სწავლის, საქმიანობის და კვლევის პროცესში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა. დარგის შესაბამის სფეროში მეცნიერულ კვლევებსა და ახალ ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციურობის და დამოუკიდებლობის დემონსტრირება და პროფესიული ღირებულებების დამკვიდრება.

სწავლის შედეგები	სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები				სამიზნე ნიშნულები/სტუდენტთა რაოდენობა საერთო რაოდენობის წილთან მიმართებით
	პირდაპირი		არაპირდაპირი		
	მეთოდი	დრო	მეთოდი	დრო	
1.ექნება ინფორმაციული ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებზე: ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამირების ენების გამოყენების საფუძველზე ობიექტური მოდელის აგება, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების, დიდ მონაცემთა თანამედროვე კონცეფციები, მართვისა და დაცვის თანამედროვე კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიები და სხვა დამყარებული ცოდნა.	კრებსითი გამოცდა	მე-3 სემესტრი ს ბოლოს	დამსაქმებლები ს გამოკითხვა	პროგრამის დასრულებ ის შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	A-10% B-25% C-30% D-24% E-10%. F – 1 %. Fx -1%
2.გააცნობიერებს არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და გადაფასების გზით მისი არეალის გაფართოების, განახლების და ინოვაციური მეთოდების გამოყენების აუცილებლობას.	კრებსითი გამოცდა	მე-3 სემესტრი ს ბოლოს	დამსაქმებლები ს გამოკითხვა	პროგრამის დასრულებ ის შემდგომ მუშაობის დაწყების	A-5% B-18% C-35% D-32% E-8%. F – 1 %. Fx -1%

				პირველ წელს	
3.LINUX ოპერაციული სისტემა GRID სერვერებისათვის მრავალპარამეტრიანი ამოცანების გადაჭრა, ოპტიმიზაციის ამოცანების და დეტერმინისტური მეთოდების მათემატიკური მოდელირება და პროგრამული რეალიზება;	კრებსითი გამოცდა	მე-3 სემესტრი ს ბოლოს	დამსაქმებლები ს გამოკითხვა	პროგრამის დასრულებ ის შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	A-5% B-18% C-35% D-32% E-8%. F – 1 %. Fx -1%
4.ელექტრომაგნიტური მოვლენების (დიფრაქციის და გაბნევის) ამოცანების კომპიუტერული მოდელირება; ელექტრომაგნიტური შემთავსებლობა, დედაპლატის სხვადასხვა კომპონენტების ერთმანეთთან ურთიერთქმედების მინიმიზაცია;	კრებსითი გამოცდა	მე-3 სემესტრი ს ბოლოს	დამსაქმებლები ს გამოკითხვა	პროგრამის დასრულებ ის შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	A-5% B-18% C-35% D-32% E-8%. F – 1 %. Fx -1%
5.მონაცემთა ბაზები დაპროექტება, მონაცემთა ბაზებში მოთხოვნათა ოპტიმიზაცია ევოლუციური ალგორითმებისა და გენეტიკური პროგრამირების ალგორითმებით. დიდ მონაცემთა საცავებთან მუშაობა და OLAP კუბების დაპროექტება, პრობლემის გადაჭრის მაქსიმალურად ეფექტური გზის ძიება და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება;	კრებსითი გამოცდა	მე-3 სემესტრი ს ბოლოს	დამსაქმებლები ს გამოკითხვა	პროგრამის დასრულებ ის შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	A-5% B-18% C-35% D-32% E-8%. F – 1 %. Fx -1%
6.კვლევის თემატიკასთან დაკავშირებით ახალი ცოდნის, მეცნიერული დასკვნებისა და არგუმენტების ეფექტურად წარმოჩენა; ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.	სადოქტო რ დისერტაც ია	მე-6 სემესტრი ს ბოლოს	დამსაქმებლები ს გამოკითხვა	პროგრამის დასრულებ ის შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	A-5% B-18% C-35% D-32% E-8%. F – 1 %. Fx -1%
7. სწავლის, საქმიანობის და კვლევის პროცესში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა. დარგის შესაბამის სფეროში მეცნიერულ კვლევებსა და ახალ ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციურობის და დამოუკიდებლობის დემონსტრირება და პროფესიული ღირებულებების დამკვიდრება.	სადოქტო რ დისერტაც ია	მე-6 სემესტრი ს ბოლოს	დამსაქმებლები ს გამოკითხვა	პროგრამის დასრულებ ის შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	A-5% B-18% C-35% D-32% E-8%. F – 1 %. Fx -1%

XVI. დასაქმების სფეროები:

პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში, სადაც მოითხოვება თანამედროვე მეცნიერული აზროვნება, დარგის უახლესი მიღწევების და სიღრმეების ცოდნა, ანალიტიკური აზროვნება, პრობლემის მეცნიერული გადაჭრის უნარი, სამეცნიერო პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და მართვის უნარები.

3. დოქტორანტის შეფასება

სასწავლო კომპონენტი:

1. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების (გარდა კონცენტრაციისა და მოდულისა) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.

ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.

ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა

სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო

არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

2¹. საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

3. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციით განსაზღვრული დადებითი შეფასების ვერმიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

4. სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმბია:

- შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
- დასკვნითი შეფასება.

5. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

6. საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.

7. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები დამლეული აქვს. შესაძლებელია შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მისაღწევად დასკვნით გამოცდამდე სტუდენტმა განმეორებით ჩააბაროს სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური კომპონენტები.

2. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.
3. საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.
4. შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად ან ელექტრონულად. დასკვნით გამოცდებს ატარებს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი.
5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სადისერტაციო ნაშრომის) შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:
 - ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;
 - ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
 - გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
 - დ) საშუალო (*bene*) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
 - ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
 - ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
 - ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

ამ მუხლის „ა“-„ე“ პუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ“ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
14. დოქტორანტის თემატური სემინარი ფასდება ასქულიანი სისტემით. სემინარის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი ინსტრუქციით.
15. დისერტაცია უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას დისერტაცია ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) შესაბამისი კრიტერიუმებით.

აგრონომიის სადოქტორო პროგრამა

I. ფაკულტეტის დასახელება: ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

II. პროგრამის დასახელება: აგრონომია

III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა

IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

V. სწავლებისენა: ქართული

VI. მისანიჭებელი ხარისხი: აგრონომიის დოქტორი (PhD in Agronomy);

VII. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: 6 სემესტრი.

სასწავლო კომპონენტი შეადგენს 50 კრედიტს, კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად:

სასწავლო კომპონენტი:

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს. დოქტორანტი სადოქტორო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით განსაზღვრავს სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევით ელემენტებს და მათი კრედიტების რაოდენობას, რასაც ასახავს დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში.

სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ელემენტებიდან დოქტორანტისათვის სავალდებულოა:

პროფესორის ასისტენტობა¹⁹ - 15 კრედიტი (სალექციო კრედიტები ითვლება სასწავლებელში ამ კურსისადმი მიანიჭებული კრედიტების მიხედვით);

სემინარი²⁰ - 20 კრედიტი;

სასწავლო კომპონენტის დანარჩენი ელემენტები (დარგობრივი კურსები) არის არჩევითი.

სალექციო კურსები მთლიანობაში შეადგენს არაუმეტეს 15 კრედიტისა;

კვლევითი კომპონენტი:

სადოქტორო დისერტაციის მომზადება და დაცვა;

დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობაა ექვსი სემესტრი. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს მაქსიმუმ ოთხი სემესტრით.

სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტის დისერტაციის დაცვაზე დაშვება შეიძლება მოხდეს ექვს სემესტრზე უფრო ნაკლებ დროში, თუ დოქტორანტმა შეძლო სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება, თუ სადისერტაციო საბჭო აღიარებს დოქტორანტის მიერ საქართველოში არსებული აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლებიდან, ან

¹⁹ ასისტენტობა ითვალისწინებს დოქტორანტის ჩართვას პროფესორის საქმიანობაში, იმუნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომელიც მას გამოადგება აკადემიურ სფეროში წარმატებული საქმიანობისათვის. იგი მოიცავს მონაწილეობას ისეთ საქმიანობაში როგორიცაა: სამუშაოჯგუფი, პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება; დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე. პროფესორის ასისტენტობისათვის კრედიტის მიანიჭების წინაპირობა არის შესრულებული სამუშაოს დადებითად შეფასება წინასწარ შედგენილი კრიტერიუმების მიხედვით იმ პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტმა ასისტენტობა გაუწია. დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო (ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული მეცადინეობის საათები) არ უნდა შედიოდეს აკადემიური პერსონალის და/ან მოწვეული პროფესორების საათობრივ დატვირთვაში.

²⁰ სემინარის ორგანიზებას ახდენს ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი/დეკანის მოადგილე) შესაძლებელია, შეიქმნას ინტერდისციპლინური და ინტერფაკულტატური სემინარები. სემინარი არ არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი. სადოქტორო სემინარის მონაწილეები წარმოადგენენ მოხსენებებს შესაბამისი დარგის აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე, რომელსაც მოჰყვება დისკუსია. სამეცნიერო სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები. დოქტორანტი სამეცნიერო მოხსენებას ამზადებს სხვადასხვა დონის კონფერენციისათვის. მოხსენების სტრუქტურის, პრობლემის აქტუალობის, აგების ლოგიკური თანმიმდევრობის შესახებ და ა.შ. კონსულტაციებს იღებს ხელმძღვანელისაგან. სამეცნიერო მოხსენება წარედგინება ამ საკითხების კვლევით დაინტერესებულ პირებს. მიღწეული შედეგი შეფასდება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ.

უცხოური უმაღლესი სასწავლებლებიდან კვლევით სამუშაოსთან დაკავშირებულ მოპოვებულ კრედიტებს, ასევე, თუ დოქტორანტს კოლოკიუმზე ექნება გატანილი სადისერტაციო ნაშრომის პრეზენტაცია.

VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომლის დიპლომი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს აგრეთვე პირს, რომელსაც აქვს დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი აგრონომიის მიმართულებისაგან განსხვავებულ სპეციალობებში.

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატს, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა, მოეთხოვება ქართული ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე. იგი ვალდებულია წარმოადგინოს ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბაროს გამოცდა ქართულ ენაში (გამოცდა ჩატარდება „ქართულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა)“ შესაბამისად).

უცხოური/ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის, ან გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, ტარდება საკონკურსო გამოცდა სპეციალობაში. ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს მისაღებ კონტიგენტს, სწავლის საფასურს, საკონკურსო გამოცდების ვადებს, საგამოცდო კომისიის შემადგენლობასა და გამოცდების ფორმატს (გამოცდა შეიძლება ჩატარდეს წერილობით, ზეპირად, ელექტრონული პროგრამით ან შერეული სახით).

IX. პროგრამის ხელმძღვანელები:

1. **ავთანდილ კორახაშვილი** -სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი; საკონტაქტო ინფორმაცია: ელ.ფოსტა – a.korakhashvili@agruni.edu.ge; ტელ. Mob 577406751;
2. **ზაირა ტყეშელაშვილი** -სოფლის მეურნეობის დოქტორი -ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **საკონტაქტო ინფორმაცია:** -zairaika@mail.ru 577957702
3. **კოორდინატორი - თემელ გოქთურქი** - ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტი, სატყეო მეურნეობის ენტომოლოგიისა და დაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; საკონტაქტო ინფორმაცია: temel.gokturk@gmail.com, ტელ. Mob. 00905425831403

X პროგრამის აკრედიტაცია 2016 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №29;

XI. პროგრამის მიზანები:

1. მოამზადოს საერთაშორისო და ადგილობრივ შრომის ბაზარზე კონკურენტ უნარიანი მკვლევარი, რომელსაც შეეძლება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, დაგეგმოს და ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევა უახლეს აგრო, ბიო და ნანო ტექნოლოგიების აგრონომიაში გამოსაყენებლად;
2. მისცეს სტუდენტებს აგრარულ (მემცენარეობა/საკვებწარმოების, სელექცია-მეთესლეობის, მცენარეთა დაცვის და მევენახეობის) სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და მეთოდოლოგიის ღრმა ცოდნა პრობლემათა გადაწყვეტის უნარის გამომუშავება და პრაქტიკული კვლევების განხორციელების მეთოდების დაუფლება;
3. გააცნოს დოქტორანტი კვლევის ეთიკურ ნორმებს და განუვითაროს მას ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში არგუმენტირებულად და ნათლად წარმოჩენის უნარი.

XII. სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებულს აქვს: 1. უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა აგრონომიის (მემცენარეობა/საკვებწარმოების, სელექცია-მეთესლეობის, მცენარეთა დაცვის და მევენახეობის) სფეროში, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისთვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). 2. უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით, თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე მცენარეთა მავნებელ დაავადებების იდენტიფიცირების და მათ წინააღმდეგ აგროტექნიკური, ბიოლოგიური და ქიმიური ბრძოლის ღონისძიებების შემუშავების. ბიოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის წარმოების მეთოდების, ვაზისა და ხეხილის ახალი ჯიშების გამოყვანის, ჯიშთა გამოცდის, ექსტრემალურ პირობებში მცენარეთა რეაბილიტაციის მეცნიერული საფუძვლების გამოყენების, მევენახეობისა და მეხილეობის დარგებში თანამედროვე მიღწევებისა და მეთოდების გამოყენების სხვადასხვა ინოვაციური მეთოდების.
უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: 3. აგრონომიის (მემცენარეობა/საკვებწარმოების, სელექცია-მეთესლეობის, მცენარეთა დაცვის და მევენახეობის) სფეროში კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა, აგრეთვე ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და ასახავს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებით. 4. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თესვა მოყვანის უახლეს აგროტექნოლოგიურ ღონისძიებათა მართვა, მაღალ მოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მისაღებად ინოვაციური ტექნოლოგიების დამოუკიდებლად დაგეგმვა-განხორციელება. 5. საკუთარი კვლევის წარმატებულად წარდგენა სხვა მკვლევართა და საზოგადოების წინაშე, როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე წერილობითი ფორმით მათ შორის უცხოურ ენაზე. 6. უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი მიგნებებისა და იდეების განვითარება, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, აგრონომიის არატიპიური, განსაკუთრებით რთული პრობლემების გადაჭრისთვის დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება;
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	სწავლის, საქმიანობის და კვლევის პროცესში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა. დარგის შესაბამის სფეროში მეცნიერულ კვლევებსა და ახალ ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციურობის და დამოუკიდებლობის დემონსტრირება და პროფესიული ღირებულებების დამკვიდრება.

სწავლის შედეგები	სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები				სამიზნე ნიშნულები/სტუდენტთა რაოდენობა საერთო რაოდენობის წილთან მიმართებით
	პირდაპირი		არაპირდაპირი		
	მეთოდი	დრო	მეთოდი	დრო	
1.უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა აგრონომიის (მემცენარეობა/საკვებწარმოების, სელექცია-მეთესლეობის, მცენარეთა დაცვის და მევენახეობის) სფეროში, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური	კრებსითი გამოცდა	მე-3 სემესტრის ბოლოს	დამსაქმებლების გამოკითხვა	პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	A-10% B-25% C-30% D-24% E-10%. F – 1 %.

მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისთვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე).					Fx -1%
2.უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით, თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე მცენარეთა მავნებელ დაავადებების იდენტიფიცირების და მათ წინააღმდეგ აგროტექნიკური, ბიოლოგიური და ქიმიური ბრძოლის ღონისძიებების შემუშავების. ბიოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის წარმოების მეთოდების, ვაზისა და ხეხილის ახალი ჯიშების გამოყვანის, ჯიშთა გამოცდის, ექსტრემალურ პირობებში მცენარეთა რეაბილიტაციის მეცნიერული საფუძვლების გამოყენების, მევენახეობისა და მეხილეობის დარგებში თანამედროვე მიღწევებისა და მეთოდების გამოყენების სხვადასხვა ინოვაციური მეთოდების.	კრებსით ი გამოცდა	მე-3 სემესტრ ის ბოლოს	დამსაქმებ ლების გამოკითხვ ა	პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	A-5% B-18% C-35% D-32% E-8%. F – 1 %. Fx -1%
3.აგრონომიის (მემცენარეობა/საკვებწარმოების, სელექცია-მეთესლეობის, მცენარეთა დაცვის და მევენახეობის) სფეროში კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა, აგრეთვე ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და ასახავს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებით.	კრებსით ი გამოცდა	მე-3 სემესტრ ის ბოლოს	დამსაქმებ ლების გამოკითხვ ა	პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	A-5% B-18% C-35% D-32% E-8%. F – 1 %. Fx -1%
4,სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თესვა მოყვანის უახლეს აგროტექნოლოგიურ ღონისძიებათა მართვა, მაღალ მოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მისაღებად ინოვაციური ტექნოლოგიების დამოუკიდებლად დაგეგმვა-განხორციელება.	კრებსით ი გამოცდა	მე-3 სემესტრ ის ბოლოს	დამსაქმებ ლების გამოკითხვ ა	პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	A-5% B-18% C-35% D-32% E-8%. F – 1 %. Fx -1%
5,საკუთარი კვლევის წარმატებულად წარდგენა სხვა მკვლევართა და საზოგადოების წინაშე, როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე წერილობითი ფორმით მათ შორის უცხოურ ენაზე.	კრებსით ი გამოცდა	მე-3 სემესტრ ის ბოლოს	დამსაქმებ ლების გამოკითხვ ა	პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	A-5% B-18% C-35% D-32% E-8%. F – 1 %. Fx -1%
6,უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი მიგნებებისა და იდეების განვითარება,	სადოქტ ორო	მე-6 სემესტრ	დამსაქმებ ლების	პროგრამის დასრულების შემდგომ	A-5% B-18% C-35%

არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, აგრონომიის არატიპიური, განსაკუთრებით რთული პრობლემების გადაჭრისთვის დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება;	დისერტაცია	ის ბოლოს	გამოკითხვა	მუშაობის დაწყების პირველ წელს	D-32% E-8%. F – 1 %. Fx -1%
7. სწავლის, საქმიანობის და კვლევის პროცესში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა. დარგის შესაბამის სფეროში მეცნიერულ კვლევებსა და ახალ ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციურობის და დამოუკიდებლობის დემონსტრირება და პროფესიული ღირებულებების დამკვიდრება.	სადოქტორო დისერტაცია	მე-6 სემესტრის ბოლოს	დამსაქმებლების გამოკითხვა	პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	A-5% B-18% C-35% D-32% E-8%. F – 1 %. Fx -1%

XVI. დასაქმების სფეროები:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საშუალო და მსხვილი მწარმოებელი კომპანიები;
- თესლის, სარგავი მასალისა და ნერგის მწარმოებელი კომპანიები;
- სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სააგენტოს სამსახურები;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები;
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სხვა სამთავრობო უწყებები;

4. დოქტორანტის შეფასება

სასწავლო კომპონენტი:

- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში ხორციელდება შემდეგი წესით:
 - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
 - სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
 - სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება დადებითია, თუ ნაშრომის შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
- შეფასების სისტემით დასაშვებია
 - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების (გარდა კონცენტრაციისა და მოდულისა) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.
 - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
 - სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
 - შეფასების სისტემა უშვებს:
 - ხუთი სახის დადებითი შეფასება:
 - ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
 - ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა

სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო

არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

2¹. საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

3. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციით განსაზღვრული დადებითი შეფასების ვერმიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

4. სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:

- შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
- დასკვნითი შეფასება.

5. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

6. საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.

7. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები დაძლეული აქვს. შესაძლებელია შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მისაღწევად დასკვნით გამოცდამდე სტუდენტმა განმეორებით ჩააბაროს სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური კომპონენტები.

შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად ან ელექტრონულად. დასკვნით გამოცდებს ატარებს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სადისერტაციო ნაშრომის) შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

ამ მუხლის „ა“-„ე“ პუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული

სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ“ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

16. დოქტორანტის თემატური სემინარი ფასდება ასქულიანი სისტემით. სემინარის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი ინსტრუქციით.
17. დისერტაცია უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას დისერტაცია ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) შესაბამისი კრიტერიუმებით.